რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 1 სექტემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. სასწრაფო განცხადება უნდა მიეტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 136 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 136

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთის ფასი როგორც თფილისში, ისე პროვინციაში:

ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის-მომწერთათვის 1 მანეთი. **გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.**

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба".

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ამ წლის მეორე ნახევრის ფული ძველი ფასებით აქვს გამოგზავნილი, უმორჩილესად ვსთხოვთ შესაფერად შეავსონ თავიანთი ხელის მოსაწერი ფული ზემოხსენებულ ფასის და მიხედვით.

დიდის დამწუხრებულნი: ქმარი კარპეზ; შვილები ელიზბარ, კონსტანტინე, ვალერიან, ისიდორე, ფეკლე და ოლღა: რძალი გოგოლი გოგიბერიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

ნინოს

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას, რომლის სახლიდან ს. ქვენიშნის წმ. გიორგის ეკლესიაზე, გასვენება მოხდა 31 აგვ. (1—1)

პ უ რ ი

წესები პურისა და ფქვილის ბარათებით მისაღებათ

1) პურის ბარათის ტალონები გამოდგებიან მხოლოდ მათზე აღნიშნულ დღეს.

2) მთელი დღის რაციონი მიეცემა ორი ტალონით.

3) რაციონის რაოდენობას საზღვრავს ქალაქის სასურსათო კომიტეტი თანახმად იმისა თუ რამდენია შემოზიდული პურის რაოდენობა.

4) **დაკარგულ ბარათების მაგიერი არ მიიცემა.**

5) პურის ბარათი მიეცემა მხოლოდ პატრონს საკუთარი ბინისას, მის ბარათში ჩაიწერება ყველანი ვინც მის ბინაზე ცხოვრობენ და ერთად სადილობენ.

შენიშვნა: 1) მოსამსახურე, ბინის დამქირავებელი და სხვანი, რომლებიც არ შედიან იმ ოჯახის შემადგენლობაში, სადაც სცხოვრობენ, მიიღებენ ბარათს დამოუკიდებლათ.

შენიშვნა: 2) თუ რომ ბინის პატრონების მხრით შემჩნეული იქნება მიწერა-მოწერილობა იმ პირთა, რომლებიც მის ბარათშია შეტანილი, მაშინ მათ ბარათი წაერთმევათ.

6) ფქვილის ბარათი (საფქვილის მისართმევად) მიეცემათ ყველა იმათ ვინც საკუთარ ოჯახში აწყობს (სამზარეულოს.)

7) ბარათები, რომლებზედაც შესწორებები და წაშლილები იქნება გაუქმდება.

8) პურისა და ფქვილის ბარათის მისაღებათ აუცილებელია წარადგინოთ იმ უბნის სასურსათო კომიტეტში, რომელშიდაც სცხოვრობთ, შაქრის ბარათი და დოკუმენტები შემოწმებული, მთავრობისა, საზოგადო და კერძო ორგანიზაციის მიერ, კავშირების და სხ.

შენიშვნა: 1) ასეთ დოკუმენტებათ ჩაითვლებიან: პასპორტი, მეტრიკული მოწმობა, მოწმობები მთავრობისა, საზოგადო და კერძო ორგანიზაციათა, კავშირებისა და სხ.

შენიშვნა: 2) მოწმობებში აუცილებლათ უნდა იყოს მოხსენებული ყველა ის პირები, რომელთათვის ბარათები დამზადებულია.

9) იმ შემთხვევაში, როცა იცვლება ოჯახის შემადგენლობა, აუცილებელია წარადგინოთ იმ უბნის სასურსათო კომიტეტში, რომელშიდაც სცხოვრობთ, განცხადება განსაკუთრებულ ბლანკზე, რომელთან ერთად უნდა წარდგენილ იქნას ერთდროულად შაქრის და პურის ბარათები ახლებზე შესაცვლელათ.

10) პურის ბარათების პატრონებმა უნდა აირჩიონ თავის რაიონში ერთი ფურნე, რომლიდანაც მუდამ უნდა წაიღონ პური.

11) პურისა და ფქვილის ბარათი იძლევა უფასოთ.

12) მთავრობისა, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი, ორგანიზაციები, კავშირები, კანტორები, სასტუმროები, სკოლები, ლაზარეთები და პანსიონები მიიღებენ პურისა და ფქვილის ბარათებს პირდაპირ ქალაქის სასურსათო კომიტეტიდან. ამისათვის საჭიროა წარდგენილ იქნას იმ პირთა შაქრის ბარათები, რომლებიც ამ ორგანიზაციაში თუ დაწესებულებაში შედიან, რომლებიც აღრიცხულ და დამოწმებული უნდა იქნეს დაწესებულების პასუხისმგებელი პირისაგან. ადრესის ბლანკები მიეცემათ ქალ. სასურ. კომიტეტის პურის ბიუროში.

13) რესტორანები, სასადილოები, [illegible] და სხ. საზოგადო საკვები ადგილები პურის ბარათების მისაღებათ ვალდებული არიან შემოიტანონ ქალაქის სასურსათო კომიტეტში განცხადება, რომელშიაც უნდა აღნიშნონ საშუალო რიცხვი დღიური მუშტარებისა.

14) ფიზიკური შრომით მომუშავენი, თანახმად მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მუშათა სექციის და ქალაქის სასურსათო კომიტეტის დადგენილებისა მიიღებენ განსაკუთრებულ ბარათებს დამატებითი პურის მისაღებათ. დამატებითი პურის ბარათები მიიღება ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში, სადაც უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა პროფესიონალური კავშირებისა და დაწესებულებათაგან, რომელშიაც ეს პირები მუშაობენ.

(3—2) **თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

კვირას, 3 სექტემბერს დილის 10 საათ. (ახალ დროით) სახალხო სახლში დანიშნულია მომხმარებელთა საზოგადოების

„ალორძინება"-ს

წევრთა წლიური საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის წევრთა არჩევა; 4) წევრთა გამორიცხვა საზოგადოებიდან და 5) მიმდინარე კითხვები. დაბეჭდილი ანგარიშები წევრთ შეუძლიათ მიიღონ უმთავრეს მაღაზიაში და განყოფილებებში. გამგეობა სთხოვს წევრთ უთუოდ დაესწრონ კრებას.

გამგეობა.

„მოსავალი" (урожай)

იხსნება ახალი მომხ. საზ., რომლის მიზანია გახსნას თფილისის ყველა რაიონში პურის საცხობები. წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: დ. კახელაძესთან ანნენის ქ. № 9. ნ. ვიდიშრიძესთან—ტრამვაის პარკი. რკინის გზის სახელოსნოში, ვ. ჯომარჯიძესთან ვაგონის ცეხში, ალ. კუპრიაშვილთან—სხივის ცეხი, პ. ხურცილავასთან ლიტეინის ცეხი, გ. ჩიქოვანთან ტოკარნი ცეხი, გრ. ცინცაძესთან საქონლის სადგურზე, გ. ზუკაკიშვილთან „ალორძინებაში" ვერის განყოფილებაში, ავლაბარში ამხ. „ალორძინებაში" ვ. კანტიძესთან ამიერ კავკასიის მომხ. საზ. კავშირში.

დამფუძნებლები დ. კახელაძე და ლ. მარხაგოვი.

განცხადება

ქალ. ხიათურაში ი. ტაბატაძის შენობაში, ამა წლის 1 სექტემბრიდან კურსდამთავრებული ხელსაქმის მასწავლებელი ა. ი. ტაბატაძის ასული—კლდიაშვილისა ვხსნი ხელსაქმის და ჭრა-კერვის

სახელოსნო სკოლას

სრული უფლებით, ვიყვან შეგირდებს ზომიერ ფასებში. ვღებულობ ამ ხელობის ყოველგვარ სამუშაოს საკერავ საქარგავ და სხვ. დაკვეთილი კაბები სუფთათ და თავის დროზე შესრულდება.

(2—1) პატივისცემით; ა. ი. კლდიაშვილი.

ექიმები **დ. ი. ჟორდანია** და **ა. ა. ერიციანი** იღებენ ავადმყოფებს შინაგან, ბავშვების, ავადმყოფობათა სისხლის, ქრონიკული მალარიის, შარდის მილების (ქრონიკული ტრიპერი) სიფილისი და მისი შედეგები. წამლობა ერლიხის პრეპარატებით „914" და „616" შინაგანი ვენისა სქესობრივი სისუსტე და ელექტრონით წამლობა.

მიიღება ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა საღამოს 5—8 საათამდე. ელისაბედის ქუჩ., სახლი № 52 ბინა 1. (10—1)

აპოლონ წულაძის

[illegible] 6 [illegible] მიმავალ მატარებლის მეორე კლასის ღია ვაგონში ხუთშაბათს 24 აგვისტოს შუადღის 4 საათზე დარჩა პატარა ჩემოდანი წიგნებით და საცვლებით. მპოვნელი კარგ საჩუქარს იღებს თუ გადასცემს ბათუმში პირველი კლასის ბუფეტში ბ-ნ შალიკო ცინცაძეს (2—2)

კონტრ-რევოლუციონერთა აჯანყება.

[illegible] მოხდა, რევოლუცია კონტრ რევოლუციის ნიადაგს უმზადებს. რუსეთის რევოლუციამ საფრთხეში ჩააგდო მემამულეთა და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესები. აგრარული საკითხის რადიკალური გადაჭრა, ფაბრიკ-მრეწველთა ზედმეტი მოგების სახელმწიფოს მიერ მისაკუთრება, წარმოებაზე კონტროლის დაწესება—ყველა ეს ემუქრება გაბატონებული კლასების კეთილდღეობას. ამას ზედ დაურთეთ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ამოძრავება, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის წინადადება, რაც თავის დროზე დააწერა რუსეთის რევოლუციამ და თქვენთვის ადვილი გასაგებია კონტრ-რევოლუციონერთა რაზმების ზრდა. რეაქციონერებს, რომელნიც წინეთ თვითმპყრობლობას იცავდნენ, ხოლო რევოლუციის ხანში რესპუბლიკაზე ოცნებობდნენ, გვერდში ამოუდგა მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია კადეტების მეთაურობით და საერთო ძალ-ღონით რევოლუციის ჩასამარხავად ცდილობენ. მათი პირველი აშკარა გამოსვლა ჩვენ მოსკოვის თათბირზე ვიხილეთ. ცხადი იყო, რომ კონტრ-რევოლუციონერები იარაზმებოდნენ და ფართო გამოსვლისათვის ემზადებოდნენ. გენერალი კორნილოვი ამ წრეების ზრახვათა გამომხატველია და მათ კარნახს ემორჩილება. დიქტატორობას ირწმუნებიან, გენ. კორნილოვის აჯანყების სულის ჩამდგმელი ცნობილი ალ. გუჩკოვია. მოსკოვის ბურჟუაზიის მეთაური კონტრ-რევოლუციის [illegible] გამოდის. სავაჭრო-სამრეწველო წრეები აშკარათ გადაიბირებენ კონტრ-რევოლუციონერთა ბანაკში.

ღირსშესანიშნავია ერთი გარემოება. კორნილოვმა აჯანყების დროშა სწორედ მაშინ აღმართა, როცა გერმანიის ჯარმა გაარღვია რიგის ფრონტი და ქ. პეტროგრადისაკენ მიემართება. კონტრ რევოლუციონერები მოღალატის როლში გამოდიან სწორედ ისე, როგორც ეს ჩაიდინეს საფრანგეთის როიალისტებმა. როცა დიდი რევოლუციის წინააღმდეგ ევროპის რეაქციონერი კოალიცია აღსდგა, გენერალმა დიუმურიემ კავშირი გააბა მტრებთან, საფრანგეთის ფრონტი და შემოსეულ უცხო მტერს ხელი გაუწოდა. იმ ხანათ დიუმურიეს ბანაკი სასტიკათ დაამარცხეს. დღეს თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გენ. კორნილოვის—ამ ახალი დიუმურიეს ბედიც გადაჭრილია. კონტრ-რევოლუციონერებმა ბრძოლა წააგეს, ვინაიდან გამარჯვების იარაღათ ღალატი გამოიყენეს. ამიერიდან კონტრ რევოლუცია და ღალატი ერთი მეორისაგან განუყოფელი დარჩება.

იბადება კითხვა: რა გზას უნდა დაადგეს რუსეთის დემოკრატია?

რევოლუციის ახალი ხანა დაიწყო. თავ დაპირველათ ბურჟუაზია გვერდში ამოუდგა დემოკრატიას და მეფის დამხობაში ზურგს უმაგრებდა. დღეს მდგომარეობა სავსებით გამოიცვალა. ბურჟუაზიამ კონტრ-რევოლუციის დროშა აფრიალა. ამიტომაც არის დროებითი მთავრობიდან კადეტები გაიქცნენ. დემოკრატიამ სახელმწიფო ძალა-უფლება სავსებით თავის ხელში უნდა აიღოს. რასაკვირველია ახალი მთავრობა არ იქნება წმინდა სოციალისტური; უმრავლესობა უეჭველად წვრილ ბურჟუაზიული პარტიების ხელში დარჩება „ტრუდოვიკების" მეთაურობით, მაგრამ ახალი მთავრობა უნდა დაემორჩილოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა კრებას.

შექმნილი მდგომარეობა დემოკრატიის ენერგიულ მოქმედებას მოითხოვს. საჭიროა კონტრ-რევოლუციონერთა რაზმების განადგურება. ამ შემთხვევაში დემოკრატიამ ყველა უკიდურესი საშუალებანი უნდა გამოიყენოს. რევოლუციის ხმალი მოღალატეთ და რეაქციონერთ უნდა ეკვეთოს. არავითარი დათმობა, არავითარი ლმობიერება! იქ, სადაც წყდება დემოკრატიის ყოფნა არყოფნის საკითხი, უკანასკნელი ენერგიული ყოველი ზომა იხმარის კონტრ-რევოლუციონერთა ბუდის დასანგრევად და მათი რაზმების დასამარცხებლად. ამავე დროს დემოკრატიამ დიდი ყურადღება უნდა მიაპყროს მეორე მნიშვნელოვან საკითხს. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ომი ემუქრება რევოლუციას. ბრძოლის გაგრძელება მეტად დასამარცხებელი იქნება. რუსეთის რევოლუციამ ფართოთ აღმართა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დროშა. ეს იმპერიალისტთა განადგურება იქნება. ამიტომაც არის ყველა ქვეყნის იმპერიალისტებმა რუსეთის რევოლუციონერთა საზავო წინადადებას ომი გამოუცხადეს. მოკავშირეთა სახელმწიფოები სოციალისტებს სტოკჰოლმის კონფერენციაზე გამგზავრებას უკრძალავენ და მათ პასპორტებს არ აძლევენ. ეს უმთავრესად ინგლისის საქმეა. რუსეთის რევოლუცია დაიღუპება, თუ მან ვერ შესძლო იმპერიალისტთა ოინების ჩაფუშვა. ამიტომაც ენერგიული ბრძოლა ზავისათვის, იმპერიალისტთა ალაგმვა დღიურ წესრიგში უნდა დაისვას. ბრძოლას შინაურ კონტრ-რევოლუციონერთა წინააღმდეგ უნდა დაერთოს ბრძოლა უცხო ქვეყნების კონტრ-რევოლუციონერთა—იმპერიალისტთა წინააღმდეგ.

რევოლუცია [illegible] თუ გაიმარჯვებს ყოველი ჯურის კონტრ-რევოლუციონერთა ალაგმვით და დაჩქარებით ომის შეწყვეტით.

გერმანია და ზავი.

გერმანიის მთავრობა ზავის ახალი პირობების გამოქვეყნებისათვის ემზადება. საიმპერიო კანცლერმა მიხაელისმა „შტუტგარტერ ცეიტუნგის" რედაქტორს განუცხადა, რომ რეიხსტაგის საგარეო კომისიამ სთხოვა მას ელზას-ლოთარინგიის საკითხის მოწესრიგება. ჯერჯერობით არ არის გამორკვეული ტოვებს ელზას-ლოთარინგიას თუ მას დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოაცხადებს. კანცლერს დასასრულ ზევით დასახელებულ გაზეთის რედაქტორისათვის უთქვამს, რომ გერმანია ზავის ახალ პირობებს შეადგენს და საქვეყნოთ გამოაცხადებსო.

ჩვენ არ ვიცით რაგვარი იქნება გერმანიის მთავრობის მომავალი ზავის პირობები, მხოლოდ იმავე კანცლერის განცხადებიდან ირკვევა, რომ გერმანია დასავლეთის საზღვრებზე ელზას-ლოთარინგიის საკითხის შესახებ დათმობის გზას ადგება და ამ მწვავე საკითხის ასე თუ ისე გადაჭრას აპირებს. მართალია, კანცლერის საგაზეთო განცხადებას გულწრფელ და მთავრობის ნამდვილ აზრათ ვერ მივიღებთ; მაგრამ ისიც მართალია, რომ გერმანიის ელზას-ლოთარინგიის საკითხი თითქმის მოუგვარებელი მეცხრამეტე საუკუნის დაწყებიდან საგარეო შეხლა-შემოხლის კვანძათ გადაიქცა და მის გამო გერმანია-საფრანგეთ შორის რამდენჯერმე ომი გაჩაღებულა.

უკანასკნელი საფრანგეთისა და გერმანიის შორის მომხდარი ომის შემდეგ—სახელდობრ 1871 წელს გერმანიის ჯარებმა საფრანგეთის ჯარი დაამარცხეს, პარიზის ჩრდილოეთ ნაწილს მიუახლოვდნენ, მთელი პარიზი საფრთხეში ჩააგდეს. და ბისმარკის ლაშქარი პარიზის დანგრევას აპირებდა. მხოლოდ რევოლუციონერმა კომუნამ, პარიზის პროლეტარიატის მედგარ და თავგანწირულ ბრძოლამ პარიზი დანგრევისაგან იხსნა. მაგრამ გამარჯვებულ გერმანიას ელზას-ლოთარინგია დარჩა და თან 5 მილიარდი ფრანკი კონტრიბუციის სახით წაიღო.

ამის შემდეგ საფრანგეთსა და გერმანიას შორის დამოკიდებულება უფრო გამწვავდა და მათ შორის საგარეო დამოკიდებულება არეწყო. თვით ბისმარკი ელზას-ლორენის დაკავების შესახებ ხშირათ იტყოდა: ელზას-ლორენის დაპყრობამ გერმანიას დიდი უსიამოვნება გადაჰკიდა, მან მუდმივი და დაუძინებელი მტერი გააჩინა და მისი დაპყრობა ამ უსიამოვნებათ არა ღირსო.

არ ვიცით, თუ რამდენათ გულწრფელი იყო ბისმარკის ასეთი სინანული; მხოლოდ ის კი აშკარაა, რომ ამის შემდეგ გერმანიამ მთელი თავისი საგარეო იმპერიალისტური პოლიტიკა აღმოსავლეთისაკენ მიმართა, აქეთ განიზრახა ახალი კოლონიების, ახალი ბაზრების შეძენა და მით დასავლეთის დავიწყება. დღეს მსოფლიო ომის ხანაში გერმანია საფრანგეთის ტერიტორიაზე ღრმათ შეიჭრა და 16 მთელი დეპარტამენტი დაიკავა. მაგრამ გერმანიის იმპერიალისტები ამ ტერიტორიების შემოერთებას მიზნათ ვერ დაისახავენ და დასავლეთისაკენ არაფერს შემოიერთებენ.

აღმოსავლეთისაკენ გზა გაიკაფა და მის იმპერიალისტურმა მადამ გაიღვიძა. მაგრამ ახლა გერმანიის მთავრობა სრულ გამარჯვებულათ არ შეიძლება ჩაითვალოს. ტერიტორიის დაპყრობა არ ნიშნავს სრულ გამარჯვებას. ამ მსოფლიო ომის ხანაში გერმანიის იმპერიალისტებს მრავალი მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ და მის წინააღმდეგ თითქმის ყველა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა იარაღი აიღეს.

შეთანხმების სახელმწიფოების კოალიციაში ევროპის, ამერიკისა და აზიის უდიდესი სახელმწიფოები შედიან და ყველა გერმანიის წინააღმდეგ იბრძვიან.

უკანასკნელი გარემოება გერმანიის იმპერიალისტებისათვის მეტად დამაფიქრებელია. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფრონტებზე გამარჯვებულია, მაინც საფრთხე თავიდან არ აცილებია და იგი ევროპის ჰეგემონიას მაინც ხელში ვერ ჩაიგდებს. მან ამ საერთაშორისო ომის ხანაში მთელი იმპერია წარმოუდგენელ გაჭირვებაში ჩააგდო. ამას ზედ დაუმატეთ რუსეთის დიდი რევოლუცია, რომლის ზავის პირობებმა მთელი ევროპის მუშათა კლასი აამოძრავა და ყველანი ერთად შეკავშირებულნი ებრძვიან იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს—ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე დამყარებულს, მხარს უჭერენ.

ყველა ეს ეკონომიური და საერთაშორისო პოლიტიკური პირობები გერმანიის იმპერიალისტებს მადას უკვეცავს, მათ აფიქრებს და ეჭვი არ არის, რომ ისინი დათმობის გზას უნდა დაადგნენ, ამიტომ მოსალოდნელია რეალური პირობების გამო გერმანიის მთავრობამ ზავის ახალი პირობები შეიმუშაოს და იგი რუსეთის მიერ წამოყენებულ ზავის პირობებს დაუახლოვდეს; ამაში ყველაზე მეტათ დაინტერესებულია რუსეთის რევოლუციური კლასები. ომის მიერ წარმოშობილი რუსეთის რევოლუცია ომისვე მიზეზით საფრთხეში ვარდება და მას კონტრ-რევოლუციონერები თავს ესხმიან. კორნილოვის გამოსვლამ იგი კინაღამ სამუდამოთ არ დაასამარა და რუსეთის ხალხს თავისუფლება არ მოუსპო. ასეთ პირობების შემდეგ ვისთვისაც რუსეთის რევოლუცია ძვირფასია, მან ყოველი ზომა უნდა იხმაროს, ზავს მხარი დაუჭიროს და მისი დაუყოვნებლივი ჩამოგდება დააჩქაროს. რევოლუციის ხსნა ზავის ჩამოგდებაშია!

პეტროგრადის ამბები.

(პ. ტ. ს.)

30—31 აგვისტო.

პეტროგრადი. სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ დეპეშით ბრძანება გასცა, რათა სამხედრო რევოლუციონურ სასამართლოს გადაეცეს გენერლების დენიკინის, მარკოვის და ორლოვის საქმე.

კორნილოვის მიერ მოწყობილ აჯანყებაში ნამდვილ მონაწილეობას იღებდნენ კორნილოვის შტაბის ზავოიკო და პირველი სახელმწი-

საერთაშორისო ომი.

რიგის ფრონტიდან და საზოგადოთ დასავლეთის ასპარეზიდან ცნობა არ მოსულა.

ცნობა არ მოსულა აგრეთვე კავკასიის ფრონტიდან.

რუმინიის ფრონტზე ბრძოლა კვლავ ოკნას რაიონში სწარმოებს. აქ რუსეთის ჯარი თავგანწირულათ იბრძვის და მტრის იერიშებს იგერიებს.

საფრანგეთის ფრონტზე ბრძოლას ჩვეულებრივი ხასიათი აქვს. მდ. მაასის ფრონტზე საარტილერიო სროლაა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

იტალია-ავსტრიის ფრონტიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

ფო დუმის ყოფილი დეპუტატი ალადინი.

დროებითი მთავრობამ სენატს უბრძანა, რათა ქალაქ მოსკოვში მაზრითურთ გამოცხადებულ იქნას სამხედრო წესები.

პეტროგრადის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი სავინკოვის მიერ გამოქვეყნებულ სავალდებულო დადგენილების ძალით აკრძალულია გაზეთებში გამოცხადება კორნილოვის ან მისი შტაბის განკარგულებისა, ისეთი ცნობების ან მოწოდებების დაბეჭდვა, რომლებიც მიმართული იქნებიან დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ან აჯანყებულთა მხარის დასაჭერათ; მთავრობის ოფიციალურ განკარგულებიდან ისეთი ცნობების გამოქვეყნება, რომლებიც მიმართული იქნებიან კორნილოვის მიერ წამოყენებულ აჯანყების ჩასაქრობათ; ისეთი ყალბი ცნობების გავრცელება, რომლებშიაც ნათქვამი იქნება ჯარის ნაწილების აჯანყებულებთადმი მიმხრობა, ან ჯარების შეიარაღებული შეტაკება; ამ დადგენილების დამრღვევნი დაპატიმრებული იქნებიან ციხეში სამი თვით ან დაჯარიმებული სამი ათასი მანეთით. ყალბი ცნობების მოთავსებისათვის გაზეთები დაიხურება და სტამბებიც ჩამოერთმევა პატრონს.

ჯარების უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებლის უფროსი გენერალ-მაიორი მიხეევი.

დვინსკში დააპატიმრეს სახელმწიფო დუმის წევრი პურიშკევიჩი და პეტროგრადის სამხედრო საოლქო შტაბში მიიყვანეს, იქიდან საღამოს ვიბორგის ციხეში გაგზავნეს.

სამხედრო შტაბის სადგომში საღამოთი შესდგა სხდომა დახურულ კარებში, რომელსაც დაესწრნენ პეტროგრადის სათადარიგო ჯარების უფროსები და პოლკების წარმომადგენლები. კრებას გაურკვია კერენსკიმ კორნილოვის მოქმედება და განაცხადა, რომ მისი ასეთი მოქმედება მთავრობას აჯანყებათ მიაჩნიაო.

ინჟინერი პალჩინსკი დაინიშნა პეტროგრადის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეთ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან არსებულმა ხალხის თავ დაცვის კომიტეტმა დაადგინა შექნას მუშათა უბნებში მუშების მილიცია, რომელიც დაიცავს პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნებს.

გაიგეს თუ არა, რომ იმ ჯარებში, რომლებიც კორნილოვის მეთაურობით პეტროგრადზე მოდიან, იმყოფებიან ადგილობრივი („ტუზემნია") ჯარები, მუსულმანთა საბჭოების კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა დროებით მთავრობის ნებართვით ამ ჯარებთან მოსალაპარაკებლად დელეგაცია გაგზავნა, რომ თავიდან აეცილებინა მათი სამოქალაქო ომში მონაწილეობა. დელეგატები სადგურ სემრინომდე მივიდნენ, საიდანაც სადგურ სუსანინოში მდგომ ჯარების უფროსთან ტელეფონით მოლაპარაკება გამართეს. ამის შემდეგ სად. სუსანინოდან მოვიდნენ ადგილობრივი დივიზიის აფიცრები და ჯარის-კაცების ერთი ჯგუფი. აფიცერთა უმრავლესობა აღმოჩნდნენ რუსები, ჯარის-კაცები—ინგუშები. მუსულმანების დელეგატებმა მათ აუხსნეს საქმის ვითარება და უთხრეს აფიცრებს, რომ არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ადგილობრივი ჯარები, ე. ი. „ტუზემცები" პოლიტიკურ ბრძოლაში კერძო ჯგუფთა ხელში ბრმა იარაღათ გახდნენ. აფიცრებმა განაცხადეს, რომ ჩვენ სავსებით კორნილოვის მხარეზე ვართ და თქვენი მოსვლის მიზანს დივიზიას გავაცნობთ. ეს დივიზია ექვსი პოლკისაგან შესდგება. წინ მოდის ინგუშთა პოლკი, მას მოჰყვება ჩეჩნებისა და ჩერქეზთა პოლკები. სადგურ ანტროპშინოსთან მთავრობის ჯარებია დაბანაკებული.

დონის ყაზახთა მეოთხე პოლკი სრულ ნდობას უცხადებს დროებით მთავრობას და აღუთქვამს მხარის დაჭერას კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პეტროგრადის სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა აკრძალა ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე ყოველგვარი მიტინგების და კრებების გამართვა.

მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩები ყოველ დღე ნახულობდენ გარეშე საქმეთა მინისტრს ტერეშჩენკოს და ეცნობოდენ საქმის ვითარებას. მათ დროებით მთავრობას სრული დახმარება აღუთქვეს.

გამოქვეყნდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტების მოწოდება. ჯარების, რკინის გზის და ფოსტა-ტელეგრაფის ყველა მოსამსახურეებისადმი. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ კორნილოვმა აჯანყება მოაწყო რევოლიუციისა და დროებით მთავრობის წინააღმდეგ. მას სურს ძველი წყობილების აღდგენა, ხალხისთვის მიწისა და თავისუფლების წართმევა. რევოლიუცია და სამშობლო მოუწოდებს ყველას შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. კორნილოვის ბრძანებანი არ უნდა აასრულოთ. უნდა დაემორჩილოთ დროებითი მთავრობის და საბჭოთა ცენტრალური კომიტეტების განკარგულებებს. მოწოდება მოუწოდებს ყველას დაუჭირონ მხარი დროებით მთავრობას.

კრონშტადტის დეპუტატთა საბჭო აცხადებს, რომ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პირველსავე მოწოდებაზე კრონშტადტის ჯარები მზათ არიან თავიანთი ძალები კომიტეტის განკარგულებაში გადასცენ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან არსებულმა ყაზახთა სექციამ მოწოდებით მიმართა რევოლიუციონურ ყაზახებს და ჯარისკაცებს. მოწოდებაში ნათქვამია, რომ გამყიდავი გენერლების ერთი ჯგუფი ყაზახებს ხალხისა და მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებს, იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ხალხმა დააყენა... ეს გენერლები ყაზახებს პირდებიან სხვადასხვა შეღავათების მიცემას, ნამდვილად კი,—უნდათ ყაზახები ბრმა იარაღად გაიხადონ. მოწოდება უჩხევს ყაზახებს ნუ შეირცხვენენ თავს, დაიცვან რევოლიუცია და სამშობლო მტარვალი ვილჰელმისა და შეთქმულობის მომწყობ გენერალ კორნილოვისაგან.

კავკასიის ჯარების უფროსის გენ. პრჟევალსკის და რუმინიის ფრონტის სარდლის გენ. შჩერბაჩევისაგან კერენსკიმ დეპეშები მიიღო, რითაც ისინი ყოველივე დახმარებას აღუთქვამენ დროებით მთავრობას კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო განყოფილებამ დაადგინა ყველა დამკვრელი ბატალიონები კონტრ-რევოლიუციონერთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყვანონ.

დეპუტატთა საბჭოების კერძო თათბირზე კომიტეტის წევრმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კორნილოვის აჯანყების მოსპობა განაცხადა, რომ აჯანყება ჩაქრობილია, რევოლიუციონურ პოლკებს შორის კავშირი აღდგენილია. კორნილოვის ჯარს შეადგენს: 80 თოფეული (ჩრდილო კავკასიელი), ერთი დამკვრელი პოლკი და ერთი ბატალიონი ცხენოსანი ჯარი. შეტაკება, როგორც სჩანს, არ მოხდება. ყაზახებმა განაცხადეს, რომ მთავრობის წინააღმდეგ არ წავლენ. სამხედრო დაცვის საქმე კარგათ არის. კრონშტადტის ფლოტმა მხარის დაჭერა აღგვითქვა. პეტროგრადში ჯარები მოვიდნენ ფინლიანდიიდან და კრონშტადტიდან. მთავრობის მხარეზე საგრძნობი ძალაა. პეტროგრადის გარშემო მავთულებით ხლართებსა და აგრეთვე ბარიკადებს აკეთებენ. რიგს გარეშე ვოიტინსკიმ განაცხადა, რომ აჯანყების ჩაქრობის სიადვილე ფრონტის სულიერ განწყობილებას მიეწერებაო. ჯარებისთვის არ არის კორნილოვის გვარზე უფრო საზიზღარი რამე. ვოიტინსკი შეეხო რიგასთან დამარცხების ამბავს და სთქვა, რომ იქ კორნილოვი გერმანიის გენერალურ შტაბის სასარგებლოთ მოქმედებდაო. იმას რომ აჯანყებაც არ მოეწყო, მისი სახელი შევიდოდა ისტორიაში, როგორც მოღალატე, როგორც მეორე სუხომლინოვისა. შემთხვევით არ წამოსცდენია გენერალ ლუკომსკის რიგის ფრონტის გახსნის შესახებო.

მეხუთე არმიის აღმასრულებელმა კომიტეტმა დეპეშით აცნობა კერენსკის, რომ მეხუთე არმია დროებით მთავრობის მხარეზეა, უნდა სასტიკი ზომები იქნას მიღებული კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგო.

პეტროგრადის ამბები.

მოსკოვი. შესდგა მოსკოვის ჯარების წარმომადგენელთა კრება. ჯარების უფროსმა მათ გააცნო საქმის ვითარება კორნილოვის აჯანყების შესახებ. კრებამ რეზოლიუცია მიიღო, რომლითაც მხარს უჭერენ დროებით მთავრობას.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კრება შესდგა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლებმა. გადაწყდა მოწოდებით მიმართონ მუშებს და მცხოვრებთ დაიცვან რუსეთი, რესპუბლიკა, მიწა და თავისუფლება, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებისაგან.

შესდგა კადეტების ცენტრალური კომიტეტის თათბირი. აღნიშნეს, რომ კადეტების პარტიას გმობს რა კორნილოვის მოქმედებას, საჭიროთ მიაჩნია შესდგეს ისეთი მთავრობა, რომელიც ქვეყანას უბედურობისაგან დაიხსნის და თავისუფალი იქნება გარეშე გავლენისაგან.

რაძიანკოს თავმჯდომარეობით შესდგა საზოგადო მოღვაწეთა თათბირი. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ამ ჟამათ უთანხმოების ჩამოგდება ნემეცებისათვის იქნება ხელსაყრელიო.

მოსკოვის რკინის გზის რაიონის წარმომადგენელთა თათბირი აცხადებს, რომ კორნილოვის არავითარი განკარგულება არ იქნება ასრულებული.

მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსის განკარგულებით გამოცხადდა სამხედრო წესები. თვით-გასამართლება, დარბევა ან ძარცვა-გლეჯა სამხედრო ძალით იქნება ჩაქრობილი. ჯარების ნაწილებში აკრძალულია მიტინგების გამართვა. გაზეთებზე შემოღებულ იქნა სამხედრო ცენზურა.

კიევი. რევოლიუციის დაცვის საგანგებო კომიტეტმა, უკრაინის ცენტრალურმა რადამ და კადეტების საოლქო კომიტეტმა მოწოდება გამოსცეს, სადაც ხალხს მოუწოდებენ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ და უჩხევენ მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას რევოლიუციის და სამშობლოს დასაცავათ.

სამხრეთ დასავლეთის რკინის გზის მოსამსახურეთა, ხელოსანთა და მუშების აღმასრულებელი კომიტეტი იტყობინება, რომ კორნილოვის ბრძანებები არ უნდა იქნას ასრულებული. წინადადებას აძლევს ყველას დარაჯათ უდგან რევოლიუციას და კორნილოვის ჯარების მიმოსვლის შესახებ კომიტეტს აცნობონ.

სარატოვი. ქალაქის საბჭომ რეზოლიუცია მიიღო, რომელსაც მხარი დაუჭირეს სოც.-რევოლ., ს.-დ. მენშევიკებმა და კადეტებმა, რომ რევოლიუციონურ მთავრობას მიენიჭოს ყოველივე ძალა-უფლება რათა ჩაქრობილ იქნას კონტრ-რევოლიუციონური განზრახვანი. ერთი კვირით აკრძალულ იქნა კრებები და ქუჩის მიტინგები.

ხარკოვი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მოწოდება გამოსცა: „კორნილოვის გამოსვლა შესაფერ პასუხს მიიღებს. მთავრობამ ომი უნდა გამოუცხადოს კონტრ-რევოლიუციონერებს და ამ საქმეში მას დემოკრატია მხარს დაუჭერს. მოეწყო რევოლიუციონური შტაბი წესიერების დასაცველად. ქალაქში სიწყნარეა.

ტამბოვი. მოეწყო რევოლიუციის დასახსნელი კომიტეტი. აკრძალულია კრებები და მიტინგები.

ფეოდოსია. დეპუტატთა საბჭომ დაადგინა მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას. შესდგა ქალაქის დასაცავათ კომიტეტი.

დონის როსტოვი. როსტოვის და ნახიჩევანის საბჭოებმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად რეზოლიუცია მიიღეს და გაჰკიცხეს გენერალი კორნილოვის გამოსვლა. ხალხს მოუწოდებენ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ და დროებითი მთავრობისთვის მხრის დასაჭერათ. რეზოლიუცია მოითხოვს კორნილოვის და აგრეთვე შეთქმულების სხვა მომწყობ პირთა სამხედრო რევოლიუციონურ სასამართლოსთვის გადაცემას.

30 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათსა და 30 წუთზე აკაკი ჩხენკელმა პეტროგრადიდან ევ. გეგეჭკორს პირდაპირი მავთულით შემდეგი ამბავი შეატყობინა: კორნილოვის მიერ მოწყობილი აჯანყება შეიძლება ჩაქრობილათ ჩაითვალოს. ჯარების მთავარ-სარდლობა თავისთავზე მიიღო კერენსკიმ. მთავრობის ძველი შემადგენლობა რჩება, მხოლოდ კადეტები სამინისტროდან გავიდნენ. განზრახულია დემოკრატიული ორგანოების წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა, რომლებიც მოსკოვის თათბირზე მონაწილეობდენ. არ იქნებიან მოწვეული ბურჟუაზიული ჯგუფები და პარტიები. პეტროგრადში სულიერი განწყობილება მხნე და მშვიდობიანია. მიღებულია ყოველივე ზომები კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულობის მომწყობთა აღმოსაჩენათ და დასაპატიმრებლათ როგორც ფრონტზე, ისე ჯარის ზურგში.

გენერალი კორნილოვის მიერ მოწყობილ აჯანყების გამო სატახტო ქალაქის გაზეთები სწერენ:

„მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებები"—„დღეს უნდა შესდგეს ისეთი მთავრობა, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულობასთან ბრძოლა. ვისგანაც არ უნდა შესდგებოდეს ისეთი მთავრობა, კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლის დროს მას მხარს დაუჭერს დემოკრატია".

„ნოვაია ჟიზნი"—„დემოკრატიის ყველა ნაწილები უნდა შემოკრბნენ დროებით მთავრობის გარშემო. არავის არ შეუძლია რევოლიუციის სათავეში ჩადგომა, გარდა კერენსკისა; მას შეუძლია თავის გარშემო დემოკრატიის ცოცხალი ძალების შემოკრება, მაგრამ ის ვალდებულია რყევის პოლიტიკას გამოემშვიდობოს და დემოკრატიის დიქტატურის გზაზე შედგეს".

„დენი"—„ჩვენს წინ უდიდესი სოციალური ხასიათის მოვლენა სდგას,—ესაა ერთი კლასის მეორე კლასის წინააღმდეგ აჯანყება, სამოქალაქო ომის დასაწყისი. დეე ახსოვდეთ იმათ, ვინც შინაურ შუღლს და არევ დარევას იწვევს, მათ დაღუპვისაკენ მიჰყავთ რუსეთი. ჯერ კიდევ არის იმედი, რომ სამოქალაქო ომი არ მოხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრუსიული ჩექმა ჩვენ გაგვჭყლეტს".

„ვოლია ნაროდა"—კორნილოვი და მისი მხარის დამჭერი სოციალური ჯგუფები ვილჰელმის და გინდენბურგის დამხმარენი და რევოლიუციის მტრები არიან. მათ მოისურვეს რკინითა და სისხლით რევოლიუციის ჩახრჩობა. რკინითა და სისხლით გავსცეთ მათ პასუხი და ვიბრძოლოთ".

„დელო ნაროდა"—„უკეთუ მოღალატენი პეტროგრადთან ბრძოლას გამართავენ, დეე იცოდნენ, რომ ხალხის სტიქია დაუყოვნებლივ დაიწყებს ბურჟუაზიაზე თავდასხმას. რევოლიუციის ჩახშობის მიზანია, რომ გლეხებმა მიწა და თავისუფლება არ მიიღონ. აი, ამაშია კორნილოვის ცდა".

დეპეშები.

(პ. დ. ს.)

ხორბალზე ახალი ფასები.

პეტროგრადი. 29 აგვისტო. ხალხის და ჯარის მდგომარეობა სურსათის მხრით უნუგეშოა. ქალაქები, მთელი გუბერნიები და ფრონტი პურის ნაკლებობას განიცდის, თუმცა პური რუსეთში საკმარისია. ბევრი შარშანდელ ხორბალსაც არ იძლევა. ზოგიერთები უკრძალავენ ხორბლის მიცემას. უპურობის საშიშროებას კიდევ ის გარემოება უწყობს ხელს, რომ ზოგიერთ ადგილებში ხორბლის მოტანა შეიძლება მხოლოდ წყლით და თუ ეხლა არ იქნა გაგზავნილი ხორბალი, ზამთარში ბევრი დარჩება უხორბლოდ. შიმშილთან ერთათ იწყება ანარქია და მასთან რევოლიუციის დაღუპვა. მთავრობამ გადასწყვიტა ყოველივე ზომა მიიღოს და ხალხი იხსნას შიმშილისაგან. ამასთანავე მთავრობამ გადასწყვიტა მდგომარეობით გამოწვეული უთანასწორობის მოსპობა. იმ დროს, როდესაც სხვა სურსათის ფასები ძლიერ გადიდდა და ამასთანავე მუშის ქირაც ძლიერ გაიზარდა, პურის ფასი შეუცვლელი რჩებოდა. სამართლიანობა მოითხოვს, მაგარი ფასების გადიდებას ხორბალზე, რომ საბუთი არ ჰქონდეთ უარი უთხრან სახელმწიფოს ხორბალზე. გადაწყვიტა რა მთავრობამ ხორბალზე ფასი ორჯელ მეტი დააწესოს, მთავრობა ამავე დროს აცხადებს, რომ ეს საბუთს არ აძლევს სხვებს ახალი მოთხოვნილებები წარადგინონ. მთავრობა ყოველ ზომებს იხმარს იმათ წინააღმდეგ, ვინც ისარგებლებს ამ გარემოებით.

რუსეთის მანეთიანის კურსი.

ჰელსინგფორსი. 29 აგვისტო. რუსეთის მანეთიანის კურსი დაეცა 110 მარკამდის 100 მანეთზე.

სამხედრო წესები მოსკოვში.

მოსკოვი. ოლქის უფროსის ბრძანებით მოსკოვში სამხედრო წესები შემოიღეს. ყოველ გვარი არეულობა შეიარაღებულ ძალით იქნება ჩაქრობილი. ჯარების ნაწილებში აკრძალულია მიტინგები. მეორე ბრძანებით შემოღებულია სამხედრო ცენზურა.

კორნილოვის წინააღმდეგ.

კიევი. 29 აგვისტო. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა აცნობა მოსამსახურეთ, ხელოსნებს და მუშებს, რომ კორნილოვის არც ერთი ბრძანება სისრულეში არ უნდა იქნას მოყვანილი. მოუწოდებს ყველას, დაიცვან რევოლიუცია და დაუყოვნებლივ აცნობონ მთავრობას კორნილოვის ჯარების მოძრაობის ამბავი.

შრომის ფედერაციის ყრილობა.

ნიუ-იორკი. 27 აგვისტო. ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გარკვეულია ომის მიზნები. რეზოლიუციაში სხვათა შორის არის: წვრილ ერებთან დამოკიდებულება, აღიარება იმ პრინციპის, რომ მთავრობის უფლება დაყრდნობილი იქნება ხალხთა თანხმობაზე, ზოგიერთი ზარალის ანაზღაურება და სხვა.

ფედერაციის სხდომა არჩევნებით დამთავრდა. თავმჯდომარეთ აირჩიეს ისევ გომპერსი. შედგა სოციალური კომიტეტი, რომელსაც მიზნათ აქვს რუსეთს მორალურათ და მატერიალურად დაეხმაროს.

ა. თ. კერენსკის მთავარ სარდლათ დანიშვნა.

(დროებითი მთავრობის უკაზი უმართებულეს სენატისადმი.) მინისტრი თავმჯდომარე ალექსანდრე თეოდორის ძე კერენსკი ინიშნება მთავარსარდლათ სახელმწიფოს ყველა შეიარაღებულ ძალებისა.

ხელს აწერს მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე ნ. ნეკრასოვი.

დროებით მთავრობასთან მყოფი ქვეითა ჯარის გენერალი მიხეილ ალექსეევი ინიშნება მთავარსარდლის შტაბის უფროსათ.

ხელს აწერს: მინისტრ თავმჯდომარე
ა. კერენსკი.

ა. თ. კერენსკის ბრძანება ჯარისა და ფლოტისადმი 30 აგვისტოს 1917 წ.

№ 47.

დღეს, დროებით მთავრობის დადგენილების თანახმათ მე დავიკავე მთავარ-სარდლობა სახელმწიფოს ყველა შეიარაღებულ ძალებისა.

ყოფილ მთავარსარდლისა და გენერალთა უმნიშვნელო ჯგუფის სამხედრო ამბოხების სულელური ცდა სრული დამარცხებით დამთავრდა. ამბოხების მოწყობნი სამხედრო—რევოლიუციონურ სასამართლოში იქნებიან გასამართლებული. ამბოხების ასე უსისხლოთ ჩაქრობამ დაგვანახა გენერლების, ადმირალების, აფიცრების, ჯარისკაცებისა და მატროსების სახით დიდი გონება რუსეთის ხალხისა, მისი ჯარისა და ფლოტისა, რომლებიც საშიშ მტრის წინ დარჩნენ ერთგულნი სამშობლოსა და კანონიერ მთავრობის წინაშე მოვალეობისა. ვკისრულობ რა რუსეთის სახელმწიფოს ყველა შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლობას, მე სრულ ნდობას ვუცხადებ ჯარისა და ფლოტის ყველა წევრებს: გენერლებს, ადმირალებს, ჯარისკაცებს, მატროსებს, რომლებმაც თავისი ზურგით აიტანეს უკანასკნელი დღეების მძიმე განსაცდელი. ნახევარი წლის განმავლობაში თავისუფალ ცხოვრებას არ შეეძლო არ დაერწმუნებია ყველა, რომ ყოველგვარ უკიდურეს, უსაფუძვლო მოთხოვნილებებს, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს იგი წამოყენებული, დღეს მივყავართ სახელმწიფოს შერყევამდე.

(დასასრული არ მოსულა).

სუხომლინოვის გასამართლება.

პეტროგრადი. სხდომაზე უკანასკნელათ პოდპოლკოვნიკ კოლოკოლცევის ჩვენებანი გამოაცხადეს. კოლოკოლცევმა პირველათ ახადა ფარდა მიასოედოვის მოქმედებას. ტყვეთ ყოფნის დროს, მას განუცხადებია, რომ სურს ემსახუროს გერმანიის მთავრობას. იგი გერმანელ ლეიტენანტ ბაუერმეისტერისათვის გაუცნობიათ. ბაუერმეისტერს ომამდე დიდი ხანი ძმით რუსეთში უცხოვრია. ამასთან მიასოედოვის დახმარებით თურმე მთელი ოჯახი ჯაშუშობდა. მიასოედოვი სადგურ ვერჟბოლოვოზე მსახურებდა. ბაუერმეისტერს სხვა და სხვა ჩვენებები მიუცია კოლოკოლცევისათვის და დაუვალებია, რომ პეტროგრადში ჩასვლისთანავე მიასოედოვი მოენახა. ჩამოსულა რა პეტროგრადს, კოლოკოლცევს ყველა ეს მთავარ შტაბისთვის უცნობებია. კოლოკოლცევის ჩვენებით თურმე გერმანელ მოხელეთ მისთვის დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მოკვლა დაევალებინათ, რის გამოც ერთი მილიონი მანეთი აღუთქვამთ. მასვე უნდა აეფეთქებია ვარშავის ხიდი, რის გამოც ორასი ათასი მანეთი ჰქონდა აღთქმული. მასვე უნდა შეეცდინა როგორმე ნოვოგეორგიევსკის ციხის კომენდანტი, რომ ციხე უბრძოლველად დაეთმოთ. ამასთან კომენდანტს აღთქმული ჰქონია ერთი მილიონი მანეთი, ხოლო კოლოკოლცევს საგანგებო საჩუქარი. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის გარდა გერმანელები თავიანთვის მავნე პირებად რაცხდნენ გენერალ ბრუსილოვს, რუზსკისა და ივანოვს. გენერალ რენენკამპფის და სიევერსის წინამძღვრობა საცინლად არა ჰყოფნიდათ. წამოსვლისას, გერმანელებს საგანგებო შიფრი მიუციათ კოლოკოლცევისთვის. შიფრში წერებულა საპირობო წინადადებები. ხსენებულ წინადადებით გერმანელ მოხელეებთან უნდა ჰქონოდა კავშირი.

შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ ამხანაგ ბელეცკის მეორედ დაკითხვის შემდეგ გამოაქვეყნეს ყოფილ ჟანდარმთა პოლკოვნიკ გორელენკოს ჩვენება. გორელენკო ცოტახნობით სუხომლინოვთან იყო გაწყრილი. იგი გამოტყდა, რომ სამსახურს კი არ ეწეოდა, არამედ ცოლქმრის გაყრის პროცესს იძიებდა. მან განაცხადა, რომ სუხომლინოვს კურლოვთან კავშირი ჰქონდა. სუხომლინოვის წინააღმდეგ საგაზეთო კომპანიის შეწყვეტა კურლოვის საქმე ყოფილა. სუხომლინოვს პირდაპირ და მოვალეობისათვის თავდადებულ კაცად ახასიათებს. მხოლოდ მან ვერ დაიჭირა თავი უღირს ქალის სიყვარულის წინაშე. დროა ასეთ მაღალ თანამდებობის კაცის უღირს საქციელს ბოლო მოეღოსო. გლეხი ივანოვი, რომელიც მსახურებდა ალტშილერის პეტროგრადის კანტორაში, ამბობს, რომ არაფერი საეჭვო მე იქ არ შემინიშნავსო. ალტშილლერთან მოდიოდენ სუხომლინოვები, პოლ. ივანოვი და სხ. პირნი. ალტშილერის მდივანი ივერსენი ამბობს, რომ ალტშილლერთან მოდიოდნენ ვიღაც სამხედრო პირები, რომლებიც საიდუმლოდ ელაპარაკებოდნენ მასთ. თავის ქაღალდებს ალტშილლერი ძლიერ უფრთხილდებოდაო, მალავდაო.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 29 აგვისტო. რუმინიის ფრონტზე, ოკნას რაიონში რუსის ჯარი თავგანწირულათ იბრძვის. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

პარიზი. 28 აგვისტო. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირებთან „304" მაღლობთან და ლემორის ტყესთან საარტილერიო ბრძოლაა. 26—27 აგვისტოს საერთო ბრძოლა სწარმოებდა.

პარიზი. 29 აგვისტო სენის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის მოულოდნელი იერიშები მოვიგერიეთ. შამპანში, კასკას ჩრდილოეთით, ვოკსალონის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში მტრის პოზიციებზე იერიშები მივიტანეთ, ზოგიერთა სანგრები გავანადგურეთ და სამხედრო ტყვეები წამოვიყვანეთ. მდ. მაასის ორივე ნაპირებთან ზარბაზნების განუწყვეტელი სროლაა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ლონდონი. 29 აგვისტო. საფრანგეთის ფრონტზე, დანიკურას მახლობლათ ჩვენი მოწინავე რაზმები მტრის მზვერავეებს შეესხნენ და ისინი ტყვეთ წამოიყვანეს, სენ-კულენის სამხრეთ აღმოსავლეთით იერიშები მოვიგერიეთ, იპრის აღმოსავლეთით საარტილერიო სროლაა.

ახალი ამბები

გაფიცვა კოოპერატივში. როგორც ვიცით, თფილისის კოოპერატივის მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს, რის გამო ერთი ჯგუფი გაძევებულ იქნა სამუშაოდან, ხოლო მეორე ნაწილი კვლავ განაგრძობდა მუშაობას. ეხლა გაფიცულ მოსამსახურეებს ეს უკანასკნელებიც აუძულებიათ მუშაობაზე ხელი აეღოთ, რამაც გამოიწვია კოოპერატივის დახურვა. გაფიცულებს შეუერთდნენ მოხელეთა კოოპერატივის მოსამსახურეებიც.

◆ **პრა-კურსის სკოლა.** 1 სექტემბრიდან ჩერქეზოვის ქუჩაზე გაიხსნება პრა-კურსის სკოლა.

◆ **ქალაქის გამგეობამ** სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა კრებებზე და-

სწრაფა დაავალა გამგეობის წევრს ამხ. ჰ. აზატიანს.

◆ **ქაღალდის თამაშის გამო.** თფილისის მოქალაქეთა ცოლებისა და ქალიშვილების ერთმა ჯგუფმა შუამდგომლობა აღძრა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე მოსპობილ იქნას ქაღალდის თამაში, როგორც მავნე ბოროტება. ეს შუამდგომლობა გადაეცა განსახილველად ქალაქის გამგეობას.

◆ **კავკასიის ჯარის ცენტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო.** „რკინის გზათა ცენტრალურ კომიტეტმა ყველა ადგილებში დაგზავნა დეპეშა მოწოდებით, რომ ყოველივე საშუალებით შეებრძოლონ კორნილოვის კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლებს. რკინის გზათა კომიტეტებს, გზათა უფროსებს, რკინის გზებზე მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს გზათა მინისტრმა დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც სთხოვს, თვალყური ადევნონ, რომ მოსკოვს არ მიუახლოვდეს ჯარისკაცებით დატვირთული მატარებელი რევლიდან, ვიაზმიდან და ბრიანსკიდან. თუ ასეთი მატარებლები ძალით მიუახლოვდნენ მოსკოვს, უნდა მიღებულ იქნას სასტიკი ზომები თვით გზის სავსებით აყრამდე. სამხედრო ოლქის უფროსი აცხადებს სამხედრო წესებს მთელს მოსკოვის ოლქში. აკრძალულია მიტინგები, დარბევის ცდა, თვით-გასამართლება, ძარცვა-გლეჯა.

მეორე ბრძანებით: მოსკოვში შემოღებულ იქნას სამხედრო ცენზურა. კორნილოვის დეპეშაზე დაემორჩილოს მას, მოსკოვის ოლქის უფროსმა ვერხოვსკიმ შემდეგი დეპეშით უპასუხა: „საშინელი გრძნობა განვიცადე, როცა წავიკითხე თქვენი მოწოდება არ დაემორჩილებოდეთ კანონიერ მთავრობას. ურთიერთ შორის ომის დაწყება თქვენ გეკუთვნის, ეს რუსეთის დაღუპვაა. მოსკოვის ოფიცრობა ჯარისკაცები, ქალაქის საბჭო—შეურთდა დროებით მთავრობას, სხვაგვარ პასუხის მოცემა მე არ შემიძლია, ვინაიდან ფიცს არ ვიცვლი ისე, როგორც ხელთათმანებსო. გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტის და გუბერნიათა დეპუტატების საბჭოს წევრების თათბირმა საჭიროთ აღიარა გუბერნიის საგანგებო აღმასრულებელ ორგანოს შექმნა, რომელიც აღჭურვილი იქნება სრული უფლებით, თუ კონტრ-რევოლუციონური ძალა უფლება მოგვევლინა“.

◆ **ახალ ქართულ ბათალიონში** რომელიც დროებით მოთავსებულია საბურთალოზე, 29 აგვისტოს საღამოს გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს ამხანაგებმა ალ. ლომთათიძემ, ნიკოლოზ ქარცივაძემ და სერგო ქორქოლიანმა. ამხანაგებმა ილაპარაკეს თანამედროვე მდგომარეობაზე და კორნილოვის ავანტიურისტულ გამოსვლაზე და მოუწოდეს ჯარისკაცთ მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლაში და მზათ იყონ ამიერ-კავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრის მოწოდებისთანავე იარაღით ხელში დაიცვან თავისუფლება. ორატორთა ლაპარაკს ჯარისკაცები ტაშის ცემით მიეგებნენ. მიტინგის შემდეგ გაიმართა კრება ბათალიონის კომიტეტის და აფიცრების სადაც გაირჩა საკითხი ბათალიონის კომიტეტსა და აფიცრებთა შორის დამოკიდებულის შესახებ. გამოირკვა, რომ მათ შორის სრული თანხმობაა. დისციპლინის შესახებ კომიტეტსა და ამიერ-კავკასიის ცენტრის შორის დამოკიდებულების შესახებ დაადგინეს იმოქმედონ სრული თანხმობით. ამიერ-კავკასიის ჯარების ცენტრთან.

◆ **ძუკუ ლოლუას კონცერტი** გაიმართება: გორში, მიხაილოვში, ჭიათურაში, ქუთაისში, ფოთში და ბათომში. ზოგიერთ სიმღერებს ლოტბარი წაუმძღვარებს მოკლე ახსნა განმარტებას. სიმღერები ხალხურია და პროგრამაც კარგათ არის შედგენილი.

◆ **პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი.** ს. აცანაში (ოზურ. მაზრა) პირველ ოქტომბრიდან იხსნება პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, საჭიროა ინსპექტორი და მასწავლებელი; მსურველთ ვსთხოვთ გვაცნობოს, რომ ადრევე იქმნეს წარდგენილი საგუბერნიო სასკოლო კომისარიატში დასამტკიცებლათ, მისამართი აცანის კომიტეტი.

◆ **დაკარგული ბავშვი.** 24 აგვისტოს სამტრედიაში სახლიდან გავიდა 12 წლის ბავშვი გიმნაზიის ფორმაში გამოწყობილი, მიშა ვოლკოვი, რომელიც მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა. მნახველს სთხოვენ შეატყობინოს სამტრედიაში გრიშა ურუშაძეს.

კრებები და მიტინგები.

1 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია თფილისის საქონლის სადგურის მუშათა შეერთებული კრება მე-15 საწყობის შენობაში.

— დღეს 1 სექტემბერს საღამოს 8 საათზე მიიწვევა მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში პირველი სამილიციო უბნის სოციალ-დემოკრატების საზოგადო კრება საჭიროა ყველა ამხანაგების დასწრება. აგრეთვე ვსთხოვთ ამხანაგებს იქონიონ თან პარტიის წევრობის მოწმობა.

— კვირას, 3 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე პუშკინის ბიბლიოთეკის შენობაში დანიშნულია თამბაქოს ფაბრიკებისა და სხვა დაწესებულებათა უმუშევრების კრება. დღის წესრიგი: 1) უმუშევართათვის სამუშაოს გამოძებნა; 2) მიმდინარე საქმეები. სთხოვენ ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ კრებას ან გამოგზავნონ თავის მაგივრად სხვა ვინმე.

პროვინციის ქრონიკა.

უჩხუბი (გურია). გაჩნდა საქონლის ჭირი; სოფელმა ზომები მიიღო ჭირის წინააღმდეგ. ავდრებმა მოსავალს დიდი ზიანი მიაყენა. ყურძენი გაქრა.

— აქ ორი სამრეწველო სკოლის შენობას აშენებენ.

ხოფ. ქვემო-ბალა (გორის მაზრა). აქ მეორე წელიწადია, რაც მომხმარებელი საზოგადოება „ივერია“ მოქმედობს. 30 ივლისს ამხანაგობას გამგეობამ წარუდგინა ხუთი თვის ანგარიშები. კრება გაეცნო ანგარიშებს და დარწმუნდა, რომ ყოველფერი რიგზე იყო. ამიტომ გამგეობას მადლობა უძღვნა.

ხარაგაული. 20 აგვისტოს აქ მოხდა ადგილობრივი მუშა მოსამსახურეთა კრება. თავმჯდომარეობდა ვასილიევი. კრების მიზანი იყო დელეგატების არჩევა მუშათა და სალდათთა საბჭოში გასაგზავნათ. არჩეულ იქნა 21 დელეგატი, ამათში ხუთი ადგილობრივი რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტის შესავსებათ, სხვები კი ზემოხსენებულ საბჭოში იგზავნებიან. ილაპარაკეს რამოდენიმე ორატორებმა, დღევანდელი ტაქტიკის და მომენტის შესახებ.

ხამიბა (გურია). 25 ივნისს გარდაიცვალა ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, შესანიშნავი მუშაკი ილიკო კირილეს ძე პატარავა. ის იყო წევრი რ. ს. დ. მ. პარტიისა, რომელსაც თავგამოდებით ემსახურებოდა.

სამგლოვიარო წერილები.

ვგლოვობთ და ღრმა წუხარებას გამოვსთქვამთ ნაძირალების მიერ მოკლულ დაუღალავ პარტიულ მუშაკის მასწავლებელ ილიკო ქუთათელაძის გარდაცვალების გამო. ილიკოს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჯიხაიშის საზოგადოების წინაშე, მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია განსაკუთრებით მოწაფეთათვის, რომლებმაც მასში დაკარგეს საყვარელი მასწავლებელი ამხანაგი.

მოწაფე ვალოდია ხ. ნუცუბიძე.

— ჩვენს ღრმა წუხარებასა და უსაზღვრო აღშფოთებას გამოვსთქვამთ ჩვენი საუკეთესო ამხანაგის, საზოგადო მოღვაწის, ილიკო ქუთათელაძის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. გულის სიღრმიდან ამომხეთქილ ზიზღს ვუცხადებთ მის ვერაგ მკვლელებს, შავრაზმელებს, შავრაზმელთა პირმშო შვილებს.

აბაშის სარაიონო კომიტეტის მონდობილობით ვ. კობულია.

— მშრომელ ხალხთან ერთად დავსტირით საუკეთესო მოქალაქის, სპეტაკ ადამიანის ილიკო ქუთათელაძის ცხედარს. ზიზღსა და წყევა კრულვას უცხადებთ მის მკვლელებს!.. ილიკოს ხსოვნას კი არასოდეს არ დაივიწყებს მისი ამხანაგები.

პლ. ნარაკიძე და ექვთიმე ვაშაკიძე,

— ღრმათ დამამწუხრა ამხანაგ ილიკო ქუთათელაძის ვერაგულათ მოკვლამ. მუხლს ვიდრეკ მის ცხედრის წინაში და ზიზღს ვუცხადებ იმ პირებს, რომლებმაც მოუსპეს სიცოცხლე ძვირფას ამხანაგს.

ჯარისკაცი გ. მ. ჯვარიშეიშვილი.

ქალაქის საბჭო.

(დასასრული).

ხმ. გვაზავას განცხადება.

რიგ გარეშე განცხადება შემოიტანა ხმ. გ. გვაზავამ. ის ამბობს, რომ თფილისის სამხედრო უწყებას განზრახვა ქონებია რეკვიზიცია უყოს მანთაშევის სახლს. თუ ეს მართალია და განხორციელდა, ქუჩაში დარჩებიან 30-მდის სული, რომელნიც ამ სახლს აფარებენ თავსაო და მოითხოვს ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

ქალაქის თავი ამხ. ნ. ელიავა განმარტავს, რომ საბჭოს დაუკითხავად არავის უფლება არ აქვს, რეკვიზიცია უყოს ქალაქის რომელიმე შენობასო. საერთოდ ბინის საკითხზე კი მოხსენებას გაუკეთებს საბჭოს დღეს გამგეობის წევრი ჰ. აზატიანიო. გვაზავას აკმაყოფილებს ეს განმარტება.

ერთი მილიონი მოკლე-ვადიანი სესხი.

გამგეობის წევრი ამხ. მ. ხმირნოვი აკეთებს მოხსენებას ქალაქის საჭიროებათა და კასის მდგომარეობის შესახებ და ამბობს, რომ ქალაქისათვის საჭიროა ერთი მილიონი მოკლე-ვადიანი სესხი. ქალაქს განზრახვა აქვს ეს ვალი ქალ. კერძო ბანკებიდან აიღოს. ხმ. მელიქ-კარაკოზოვი (კ.-დ.) ეკითხება გამგეობას, დარწმუნებულია კი ის, რომ მიიღებს სესხს აღნიშნულ წყაროდან? ხმ. ფილ. მახარაძე (ბოლშ.) ყურადღებას აქცევს ამ შეკითხვას და ამბობს, რომ ბანკებს უნდათ ბოიკოტი გამოუცხადონ საბჭოსო. ამის მიერ გამოწვეული ხარჯების დასაფარავათ, ორატორის აზრით, საჭიროა ქალაქში წარმოებაზე და ბანკებზე კონტროლის დაწესება. იგი წინადადებას იძლევა აიღოს საბჭომ ბანკებიდან იძულებითი უპროცენტო სესხი.

კენჭს უყრიან ორ წინადადებას: გამგეობისას და ბოლშევიკებისას. ხმის უმეტესობით პირველი გადის. სესხის აღების წინააღმდეგი არავინ ყოფილა.

საფუთო გადასახადი.

რომ ქალაქის შემოსავალი გავადიდოთ და ამით მცხოვრებთა ინტერესები დავაკმაყოფილოთ, გამგეობის აზრით, საჭიროა დავაწესოთ თფილისში შემოტანილ და თფილისიდან გატანილ საქონელზე საფუთო გადასახადი. ხმ. გ. ჩხეიძე (ბოლშ.) ბოლშევიკების ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან გამგეობის წინადადებისა, ვინაიდან საფუთო გადასახადის დაწესება არაპირდაპირი გადასახადის შემოღება არისო. საბჭო ბოლშევიკების გამოკლებით იღებს გამგეობის წინადადებას.

ბინის საკითხი.

ბინის საკითხზე მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი **ჰ. აზატიანი.** ის აღნიშნავს, თუ რა მწვავეთ სდგას მოქალაქეთა წინაშე დღეს ეს კითხვა. ახალი საბჭოს ამორჩევამდის თფილისში მოქმედებდა 12 სარაიონო კომიტეტი და ერთი ცენტრალური საბჭო. მაგრამ მათი მოქმედება ვერაფერს შველოდა, ბინის საკითხს ვერ აწესრიგებდა. ეხლა გამგეობაში შემოდის ათასი თხოვნები მცხოვრებთა მხრივ, მაგრამ გამგეობას საბჭოს აზრის უქონლობის გამო, არა აქვს შეძლება, რაიმე პასუხი გასცეს ამ თხოვნებს. შემდეგ მომხსენებელი აცნობს საბჭოს გამგეობის გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების თანახმათ უნდა დაარსდეს ცენტრალური ბინის კომიტეტი, რომელიც ყოფილ ბინის საბჭოს ადგილს დაიჭერს. კომიტეტში მოწვეულნი უნდა იქნენ წარმომადგენელნი: მ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოს მუშათა და სალდათთა სექციების და სასურსათო კომიტეტიდან. საბჭოს ბინის კომიტეტს უნდა მიეცეს ბინების რეკვიზიციის უფლება. ეს გადაწყვეტილება უნდა წარუდგინოს ამ. კ. განსაკუთრებულ კომიტეტს. ხმ. **ფ. მახარაძე** გაუგებრობათ სთვლის, თუ რათ დასჭირდა გამგეობას სასურსათო კომიტეტის წარმომადგენლები, როდესაც უკანასკნელი სავსებით ახალ ქალაქის საბჭოს უნდა ეურთდებოდესო. გამგეობა ხსნის ამ მუხლს. შემდეგ ორატორი წინააღმდეგია იმის, რომ ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებულ კომიტეტს გაეგზავნოს დასამტკიცებლათ: ეს ძველ საბჭოს ემსგავსება; ამ სფეროში საბჭო დამოუკიდებლათ უნდა მოქმედებდესო. ზოგი ხმოსანი იმ აზრის იყო, რომ განსაკუთრებულ კომიტეტს არა აქვს უფლება, მიანიჭოს კომიტეტს რეკვიზიციის უფლებაო, ვინაიდან არსებული კანონმდებლობა ამის ნებას არ იძლევაო, ქალ. თავი ნ. ელიავა შენიშნავს, რომ იურისტებს ბევრი რამის შეცვლა მოუხდებათო. შემდეგ ის განმარტავს, რომ ამ.-კავ. განსაკუთრებულ კომიტეტს კავკასიაში მთავრობის უფლებები აქვს და, მაშასადამე, მას შეუძლია ქალაქის საბჭოსთვის ხსენებულ უფლებების მიცემაო.

კენჭის ყრით საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება. ბოლშევიკების შესწორება უარყოფილ იქნა.

ხურდა.

დაჰკრა საათმა.

დაჰკრა საათმა... შრომის შვილნო! შემოკრბით მალე!
თავისუფლება საფრთხეშია! მოითხოვს ხსნასა!
დღესვე უშველეთ, თვარა გვიან იქნება ხვალე:
თქვენი საუნჯე საკუთრებათ დარჩება სხვასა!

—

რათ გინდათ ყოფა, თუ ისევე მონათ დარჩებით?
ან გამარჯვება, ან სიკვდილი,—ამ ორში ერთი!
კმარა, რაც მოსეთ მტარვალები ძვირფას ფარჩებით!
აწ კი დრო არის ტახტზე დაჯდეს სიმართლის ღმერთი!

ვ. რუხაძე.

მშობელ მხარეს.

გიცნობ, გიცნობ ისევ ის ხარ,
რის მწუხარე გშორდებოდი;
მე კვლავ მსურდა შენთან ყოფნა,
უშენობით ვღონდებოდი.

— —

ისევ ის ხარ; მხნე ურეკი,
მოუღლელი—რაც იყავი...
ძველებრ გული გაგიშლია:
ჰგალობ, ჰკვნესი, ისევ ჰყვავი...

—

იქ ქარხანა ქშინავს, კივის,—
ცხოვრებისა ჩარხი ბრუნავს;
მძლავრი მკლავი ისევ გრდემლს სცემს,—
ტანჯვა ოხვრას ის გაჰკურნავს...

—

ეტლი ძველებრ ეტლსა მისდევს,
მუქთა ხორა დასეირნობს..,
იქ დარბაზი, აქ კი ქოხი
მთლად დანგრევას ლამობს, ცდილობს.

—

თუმცა სახე გამოცვლია:—
ვაჟკაცი ხარ დღეს ხნიერი,
ბრძოლაში გამონაცადი,
სულით, გულით ღონიერი.

—

რაც გადაგხდა, მით გაკაჟდი,
თუმც ჯერ სიტკბო არ დაგცლია...
მაშვრალთ მხარევ! ისევ ის ხარ,
ბოროტებამ ვერ დაგძლია...

—

და შენ შვილსა მტრისგან დევნილს
მრწამს მიმიღებთ მებრძოლთ რაზმში...
კვლავ გავსწიოთ მომავლისკენ,
დავედევნოთ მტარვალს კვალში...

—

გიცნობ, გიცნობ! ისევ ის ხარ
უშენოთ რომ გამამწარეს...
მაინც ის ვარ... ძღვენათ სალამი
მეგობრებს და მშობელ მხარე!

დ. მეჩონგურე.

გამაერთიანებელი ყრილობა რუს. ს.-დ. მუშ. პარტიისა.

განაგრძობენ კამათს პოლიტიკურ ვითარების შესახებ. **ლიბერი** ამბობს: ინტერნაციონალისტები ცდილობენ ჩვენი უთანხმოებანი ომის მიზეზით ახსნან. ეს არ არის სიმართლე. არსებითად ჩვენში უთანხმოებას შინაური პოლიტიკის საკითხი იწვევს. დღე მოვიდენ ისინი და გვითხრან, ის კი არა, თუ რამდენად გლეხები ვართ ჩვენ, არამედ—რამდენად კარგები არიან თითონ. რა გზით აპირობენ სიარულს, რა ნაირია მათი პროგრამა. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ რევოლუციის გაფართოვებაზე კი არაა არამედ—მის დამკვიდრებაზე, ვინაიდან რევოლუცია თავდაღმა მიექანება. წარმოიდგენს თუ არა მუშათა კლასი ისეთ ძალას, რომელსაც მარტო შეეძლება ნაციონალური რევოლუციის გამაგრება? სანამ ინტერნაციონალისტებს არ უთქვამთ, რომ ჩვენ სოციალური რევოლუციის წინა დღეებში ვიმყოფებით, მანამდე ისინი ვერ გაინთავისუფლებენ თავს იმ შეკითხვისაგან, თუ რომელ კლასს შეუძლია რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, მისი გაფართოვება-გაღრმავება. მუშათა და გლეხთა შორის შეკრული ბლოკი საბჭოებში უკვე გაიბზარა. გლეხები უკან იხევენ. არ შეუძლიათ ყოველფერში მუშებისთვის მხარის დაჭერა. რევოლუციის მიზნების გარშემო რაც შეიძლება მეტი ძალების შემოკრება,—აი, რა გვესაჭიროება ჩვენ. ჩვენ კი მუშათა კლასის ჯვარცმის ტაქტიკას ვაწარმოებთ. რას ნიშნავს მოკავშირეთა იმპერიალიზმის ძალდატანებისაგან განთავისუფლება? სეპარატიული ომი? თქვენ ლაპარაკობთ ჩვენი ამხანაგების მთავრობის შემადგენლობიდან გამოწვევაზე. მაშასადამე, უნდა შედგეს ახალი მთავრობა. ძალა-უფლების ხელში ჩაგდება? თქვენ მოითხოვთ საბჭოებში ჩვენი მოქმედების პარტიისთვის დაქვემდებარებას. კეთილი. ჩვენ თანახმა ვართ დავემორჩილოთ. თქვენ კი, იმყოფებით რა უმცირესობაში, არ გვემორჩილებით. **აბრამოვიჩი** ამბობს: დემოკრატიამ ყველაფერი გააკეთა, რომ რევოლუციის ასპარეზი შეექვეცა შეევიწროებინა: არა იაკობინურ ფრაზებს ჟირონდისტური მოქმედებით ჰფარავდა. ამბობენ, პროლეტარიატი უღონოა, რომ თითონ იკისროს ბრძოლის მთელი სიმძიმე. აქედან დასკვნა ასეთია: გაერთიანება იმ შემოქმედებითი ძალებთან, რომლებიც ბურჟუაზიაში მოიპოვებიან. განა თქვენ გჯერათ რაიმე ჩვენი ბურჟუაზიის შემოქმედებითი ძალებისა? რუსეთის ბურჟუაზიის ძალა ინტერნაციონალურ კავშირშია. ის მხოლოდ ნოქარია ევროპიულ იმპერიალიზმისა და პოლიტიკაც მისი ამის შესაფერისია. დამოუკიდებელი იმპერიალიზმი მხოლოდ ამერიკაში, ინგლისში და გერმანიაში სუფევს. დანარჩენი ყველანი ნოქრები არიან. ჩვენი ქვეყანა ამ ჟამად ევროპის ახალშენია. ისეთი პოლიტიკა, რომლის საშვალებითაც რუსეთის რევოლუციის ბედს ხელში ვაძლევთ მოკავშირეთა იმპერიალიზმს, რუსეთს ვერ წაიყვანს იმ გზით, რომ ის ევროპის იმპერიალიზმისაგან გაანთავისუფლოს. ერთი პირობით შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიასთან შერიგება: ჩვენ დავექვემდებარებით მას, უკეთუ აღვიარებთ, რომ ქვეყნის დახსნის გასაღები მას მოეპოვება. ასეთი შეხედულება მე შემიძლია წარმოვიდგინო, მაგრამ არა მგონია ისეთი პროლეტარიატი მოიპოვებოდეს, რომ ამ შემთხვევაში თქვენ, გაჰყვეს, თქვენ გეკითხებით—რა ნაირი უნდა იყოს ჩვენი პროგრამა. თქვენ იცით, რომ მთელი ხალხის მიზანია ზავის ჩამოგდება. ერთად ერთი საშვალება, რომლითაც აცილებული იქნება სეპარატიული ზავი, ეს ჩვენი მოკავშირეთადმი დამუქრებაა. იმოქმედეთ ისე, რომ სტოკჰოლმის კონფერენციის შეკრებისას ტერეშჩენკომ ის არ აღიაროს კერძო საქმეთ, ნუ შექმნით საზღვარ გარეთ ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს საკუთარი პოლიტიკა არ მოგვეპოვებოდეს და ვმოქმედებდეთ იმის თანახმად რასაც ლონდონიდან და ვაშინგტონიდან გვიბრძანებენ.

პილეცკი აღნიშნავს იმ მიზეზებს, რომლებიც სოფელთან კავშირის გაწყვეტას იწვევენ. რევოლუციონურ მთავრობას არაფერი არ გაუკეთებია სოფლისათვის. მთავარ სამდგილო კომიტეტში ჩერნოვმა სთქვა, რომ ის უძლურია, რომ რაიმე ღონისძიება იხმაროს. სოფელს ეკარგება რწმენა დემოკრატიისა და მთავრობისადმი. უნდა გავაფართოვოთ რევოლუციის მონაპოვარნი... თავდაცვის საუკეთესო საშვალებაა შეტევა.

ბოგდანოვი ამბობს, რომ ინტერნაციონალისტების სიტყვებში ერთი აზრი გამოსჭვივის: მათ სურთ რევოლუციის გაფართოვება და ამავე დროს არ სურთ თავის თავზე რაიმე პასუხისმგებლობა მიიღონ რევოლუციის მსვლელობის საქმეში. მათ სურთ ოპოზიციაში დარჩენა, თითქოს ჩვენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს განვითარების ნორმალურ პირობებში ვიმყოფებოდეთ. კონკრეტიული პირობებისაგან გადახვევას ინტერნაციონალისტები მიჰყავს ბოლშევიკების საარჩევნო კამპანიის ლოზუნგებამდე. ბოლშევიკების—ლოზუნგია: „მშვიდობიანობა, ზავი და [illegible]“ ინტერნაციონალისტების—„მშვიდობიანობა, თავისუფლება და საუკეთესო ცხოვრება“. ამ ლოზუნგებში იმალება რუსეთის რევოლუციისათვის და რუსეთის მუშათა კლასისათვის საარჩევნო პოლიტიკა. აქ ნათქვამი იყო, რომ მოკავშირეებთან განხეთქილების ჩამოგდების პოლიტიკა სეპარატიულ ზავთან მიგვიყვანსო. ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმას აზრი ექნებოდა საერთაშორისო პროლეტარიატის გამოსვლასთან ყველა მეომარ ქვეყნებში. სანამ ეს არ მომხდარა, არ შეგვიძლია ვიმედოვნოთ, თითქოს ოცნებაში შეიძლებოდეს საერთაშორისო ზავის და რუსეთის რევოლუციის საქმეების გადაჭრა, მოკავშირე სახელმწიფოებთან კავშირის გაწყვეტის მუქარა საერთაშორისო მუშათა კლასის კავშირის გაწყვეტის მუქარაა. ასეთია არსებული მომენტი. ამიტომ ვერ ვხედავთ ჩვენ ინტერნაციონალისტების სიტყვებში რეალურ პროგრამას. მათ სურთ უპასუხისმგებლო ოპოზიციაში დარჩენა იმ დროს, როცა ქვეყანა და რევოლუცია დაღუპვის კარზეა მიმდგარი.

ხიმკოვსკის აზრით მასსიური პარტიის შექმნას ხელს უშლიდენ ისინი, რომელნიც დემოკრატიის უმთავრეს საყრდენს გლეხთა და ჯარისკაცთა მასსებში ეძებდენ. წერეთლის განმარტოვებულად ყოფნა ჩვენთვის დიდი რისხვაა. ის ფიქრობს, რომ სოც. დემოკრატები მთავრობაში უნდა დარჩნენ, უკეთუ მთავრობა უზრუნველყოფს დემოკრატიული პროგრამის ცხოვრებაში გატარებას. მაგრამ 8 ივ. პროგრამიდან ჩვენ მხოლოდ კუდი შეგვრჩა ხელთ. ბევრს ლაპარაკობდნენ დამფუძნებელი კრების ადრე მოწვევის შესახებ. რა გაკეთდა ამ მხრით? ან სხვადასხვა ერებთან მშვიდობიანი ცხოვრების შესახებ? რას ნიშნავს ფინლიანდიის სეიმის დათხოვნა? ჩვენ არ შეგვიძლია იერიშების მიტანა. მაგრამ წერეთლის პოლიტიკა სახვალიო დღის იმედებს გვიბადებს. **ასტროვი** ეკამათება ბოგდანოვს და სხვებს და აღნიშნავს, რომ უთანხმოების ცენტრი საშინაო პოლიტიკაშია. ახლანდელი დავა 89 და 48 წლების რევოლუციონერების დავას გვაგონებს. ის ამბობს რომ, როცა „ობორონცები“ ბურჟუაზიის როლზე ლაპარაკობენ, ვერ აჩნევენ, რომ ამ როლში ისეთი ბურჟუაზია გამოჰყავთ, რომელიც რუსეთში არ მოიპოვება. მისი აზრით რევოლუციის გაგრძელება შეიძლება ამ ჟამად მხოლოდ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ჩვენ საჩივარი შემოგვაქვს თქვენს წინააღმდეგ რომ თქვენ კლასთა ბრძოლის გზას გადასცდით. ამ ჟამად არ მოიპოვება ის ბურჟუაზია, რომლისთვისაც სახალხო მეურნეობის ინტერესები ძვირფასი იყოს, როგორც ეს პოტრესოვს წარმოუდგენია. ეს ბურჟუაზია ამ ჟამად თავის ჯიბის გასასქელებლად ბრძოლას აწარმოებს იმის წინააღმდეგ, რომ მუშებმა ხელფასის მომატება არ მიიღონ. მიადევნეთ ამ ბრძოლაში მონაწილეობა მესამე პირს—სახელმწიფოს და თქვენს წინაშე სახელმწიფოებრივი სახის მქონე პროლეტარიატი წარმოსდგება. ნუ შიშობთ კოალიციასთან კავშირის გაწყვეტას. წერეთლის სამინისტროდან წასვლამ ნათლად დაგვანახა, რომ არაფერი საშიში ამით არ მომხდარა. უკეთუ იმ ნულის (არარაობის), სოც.-რევოლ. წინ ოდენობის (величина) მქონე წერეთელს დავაყენებთ, ეს ნული (არარა) ოდენობის მქონედ არ გახდება. ჩვენი მოთხოვნანი ყოველობისადმი ასეთია: შექმენით ისეთი პირობები, რომ პროლეტარიატმა შესძლოს საკუთარი სახის გამოჩენა. ამის პირველი ნაბიჯი იქნება სამინისტროდან გამოსვლა. კადეტები და სოციალისტ-რევოლუციონერები მიუშვით თავიანთ ნებაზე და კონტროლის გამკეთებლად მათზე დააყენეთ პროლეტარიატის დამოუკიდებელი პარტია.

ლიპენი. ამტკიცებს, რომ ძირითად საშინაო საკითხების შესახებ ორი აზრია და რომ შესაძლებელია ურთი-ერთ შორის შეთანხმება. მისი აზრით, ვერ ვაფასებთ ვერც პროლეტარიატის, ვერც ბურჟუაზიის ძალას. ის აღნიშნავს, რომ ფრაქციულად დაყოფა პარტიას ღუპავს და ამბობს, რომ ერთად ერთი საკითხი, რომელიც ამ ჟამად საყურადღებოა, ეს არის სტოკჰოლმის კონფერენცია, რომლის გარდა საერთაშორისო დემოკრატიას ურთი-ერთ შორის მოსალაპარაკებელი გზა არ მოეპოვება. მარტოვის აზრი ბურჟუაზიის კონტრ-რევოლუციონერობის შესახებ სიმართლე არ არის. ბურჟუაზიის დამოკიდებულება ომისადმი იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ როგორი მდიდრდებოდა ეს ბურჟუაზია. მეფობის დამხობით ბურჟუაზიას მიზანისთვის არ მიუღწევია. მისი მიზანია ომის დამთავრება დემოკრატიული წრეების ხარჯზე. მარტოვის მტკიცება, რომ ქვეყნის ხსნას კლასიური ხასიათი უნდა ჰქონდესო პირობითი შეიძლება გავიგოთ. რა მეთოდებით შეგვიძლია კლასიური პოლიტიკის განხორციელება? თუ 3 ივლისის მეთოდებით ფიქრობთ, ეს იქნებოდა კლასიური პოლიტიკა კი არა, არამედ—კლასიური დამარცხება.

თფ. მილიციის უფროსის მოხსენება კომისარს ა. ჩხენკელს

წინააღმდეგ პეტროგრადის სატელეგრაფო სააგენტოს ცნობისა მოსკოვიდან 23 ამ მარიამობისთვისა მაზედ, „რომ ვითომც ქართველთა ბრბომ ქართველ ეპისკოპოს ლეონი-

დღეს მეთაურობით და მილიციის მონაწილეობით ძალით დაიჭირა ეგზარხოსის სახლი, დაამტვრია ეკლესია, მოითხოვა კასის გასაღები და დააპატიმრა ზოგიერთი სასულიერო პირი, მოვალეობად ვთვლი მოგახსენოთ: დღეს ორ საათზე, 23 ამა მარიამობისთვისა, მე მივიღე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე თფილისელ მიტროპოლიტ ლეონიდეს მოწერილობა ჩემდამი № 909, შემდეგი შინაარსისა: ბ. თფილისის საქალაქო მილიციის უფროსს. მას შემდეგ, რაც დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა ძირითადი საფუძვლები უდიდებრივი მდგომარეობისა საქართველოს ეკლესიისა რუსეთის სახელმწიფოში ეგზარხოსის თანამდებობა გაუქმებულია; სახლი, რომელშიაც სცხოვრობდა საქართველოს ეგზარხოსი, განთავისუფლდება არა თუ მარტო იურიდიულად არამედ ფაქტიურადაც, რადგანაც დღეს მასში არავინ სცხოვრობს.

რადგან ეს სახლი შეძენილია საქართველოს ეკლესიის ხაზინის მიერ (იხ. საქმე სინოდალური კანცელარიისა 1849 წ. № 5036), საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დაიკავა ეს სახლი ადგილ სამყოფელად მასში კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრისა, ქვემორე ხელის მომწერი კი ვითხოვ, თუ წინააღუდგებიან, საცხოვრებლად ამიერ-კავკასიის რუსის ეკლესიის წარმომადგენლებს იმ დრომდის, სანამ გამიჯნული იქნება რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესები. გაცნობებთ რა ამას, დროებითი მმართველობა უმორჩილესად გთხოვს თქვენ წარმოგზავნოთ უფლებამოსილი პირი შესადგენად სხვათა ქონების საჭირო სიისა და აგრეთვე გამოგზავნოთ საკმაო რიცხვი დარაჯთა დასაცველად ახლა ამ სახლში მცხოვრებ პირთა. სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი თფილისისა ლეონიდე".

იმავე დღის საღამოს ხუთ საათზე მე წარვგზავნე საეგზარხოსო სახლში, სხვათა ქონების მიღებისა შესადგენის ზომებისა და შიგ მცხოვრებ პირთა დასაცველად ერთი ჩემი თანაშემწეთაგანი, რომელმაც წინათვე გაცნობა ამის შესახებ მუშათა, სალდათთა და გლეხთა განაპირა ადგილების საბჭოს ცენტრის თავმჯდომარეს და ამიერ-კავკასიის კომიტეტის საგანგებო წევრს—რწმუნებულს.

საეგზარხოსო სახლში მილიციამ მიიღო შემდეგი ზომები: რათა დაცულ იქნას ქონება, ვიდრე გამიჯნული იქნება რუს-ქართველთა საეკლესიო ინტერესები, დაბეჭდა ჯვარის საყდარი საეგზარხოსო სახლთან, რომელშიაც ინახება განძეულობა, წაიყვანა ცნობაში ყოველი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა პირადად ყოფილ ეგზარხოს საქართველოისას პლატონს, დააწყო იგი ცალკე ოთახში და იგიც დაბეჭდა. რადგანაც ეგზარხოსის სახლის ყოფილმა ეკონომმა მღვდელ-მონაზონმა სერაფიმემ გადაჭრით უარი სთქვა იმ ქონების ჩვენებაზე, რომელიც ეკუთვნოდა სახლს, წარმოედგინა შემოსავალ გასავლის წიგნები და კასა ფულებით და ფასიანი ქაღალდებით, მილიციამ დაბეჭდა აგრეთვე ის ოთახი, რომელშიაც ინახებოდა საბუთების ქაღალდები და ცეცხლ-მიუკარებელი სკივრი. ამ ოთახის გასინჯვის დროს მღვდელ-მონაზონმა სერაფიმემ მილიციონერს ჩაუდვა ჯიბეში ორი დიდი ხვეული ფულისა, რომელიც მან ცეცხლმიუკარებელ სკივრიდამ ამოიღო, მაგრამ დროზე იქმნა შენიშნული. ეკონომის ასეთმა ქცევამ აიძულა მილიცია დაენიშნა მასზე საგანგებო მეთვალყურეობა, რომ თავიდან აეცდინა საეკლესიო ქონების გაფლანგვა მის მიერ. როცა გასინჯეს შემდეგ სარდაფი, სამეურნეო ოთახის კედლებზე აღმოჩნდა 5 სურათი რომანოვთა გვარისა, მათ შორის ალექსანდრე III, უფლის მემკვიდრისა ალექსის და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა, ხოლო ქვემო სართულში იმავე სახლისა—სურათები ნიკოლოზ II (გადადგომილი მემკვიდრესთან) და მის დედისა მარიამ რომანოვებისა. როცა ბერ-მონაზონის სერაფიმეს ბინაზე მივიდა მილიციის წარმომადგენელი, იქ იყვნენ ორი მოქალაქე და ორი მონაზონი სამკოდის მონასტრისა. ეს პირნი გარს ეხვივნენ მაგიდას და სვამდნენ ღვინოს. შემდეგ, რადგანაც მიტროპოლიტი ლეონიდე თფილისელმა მაცნობა მასზედა, რომ სინოდალური კანტორის არქივიდამ იტაცებენ ძვირფას საბუთებს, მე მივიღე ზომები არქივის დასაცველად, მაგრამ კანტორის მოხელეებმა მაინც ხელიდან გამოიტანეს საჭირო საბუთები საგანგებო ბარათებით. როცა საეგზარხოსო სახლში მილიცია მივიდა, არავინ ყოფილა დაპატიმრებული და ყველას იქ მყოფთ ჰქონდათ თავისუფალი შესვლა-გასვლისა. 24 მარიამობისთვეს ჩემთან იყო ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ა. ხარლამოვის რწმუნებული წერილობითი ბრძანებით მისგან, ხელი შეეწყო მას საეგზარხოსო სახლის ქონების სიის ადგენაში; რწმუნებულმა გამოაცხადა მე, რომ ქონების აღსაწერად შედგენილი იქნება შემთანხმებელი კომისია რუს-ქართველთა სამღვდელო პირთაგან. მე განკარგულება მოვახდინე დაეხსნათ ბეჭდები ოთახებს, მაგრამ სიის შედგენას არ შესდგომიან, რადგანაც რუსის სამღვდელოებამ უარი სთქვა მონაწილეობა მიეღო შეთანხმებულ კომისიაში. მილიციის მიერ მიღებული ზომები ქონების აღსაწერად ნებადართულია კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ა. ხარლამოვის მიერ.

უფროსი თფ. საქალაქო
მილიციისა კაჩუხოვი.

29 მარიამობისთვე 1917 წ.
ქ. თფილისი.

პროვინციის ცხოვრება

აგარაკი ნაფოცხვარი. (გომის მთა). ნაფოცხვარი მდებარეობს ქ. ოზურგეთიდან 21 ვერსის მანძილზე.

წელს მოაგარაკეთა რიცხვი გომის მთაზე 1000-ს აღემატებოდა. მდებარეობა ამ აგარაკს ჩინებული აქვს.

ივლისის პირველ რიცხვებში აქ შესდგა მოაგარაკეთა კრება. დაესწრო დახლოვებით 500 მოაგარაკე. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ანდრია ში—ძე, მდივნათ [illegible]. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) მილიციის მიწა, 2) რძის საკითხი, 3) პურის და ხორცის საკითხი, 4) რესტორანში ხილფასის შესახებ და სანიტარული კომისიის არჩევა, 5) [illegible], 6) წარმომადგენლების მიწვევა, 7) ბანის ქირა და 9) კომისარის არჩევა.

ყველა ზემო წამოყენებულ კითხვებზე კრებამ მსჯელობა იქონია და შესაფერისად გადაჭრა.

ა. წ—ლი.

სოფ. ბახვი. 16 მაისს 1917 წ. ყუმანის ოლქში ლაზარეთის № 7 გარდაცვლილა კავკასიის პირვ. ტრანსპორტის უფროსი უნტერ-ოფიცერი ილიკო სიმონის ძე კვაჭაძე, რომელიც გადმოსვენებულ და დაკრძალულ იქნა სოფ. ბახვში (გურია) 6 ივლისს. ის იყო წევრი რ. ს. დ. მ. პარტიისა. ხალხში კარგი სახელი ქონდა დამსახურებული. დასაფლავებას მრავალი ხალხი დაესწრო. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. ქელეხის მაგივრათ განსვენებულის პირისფლებმა კულტურულ მიზნით ასი მანეთი შემოსწირეს. ეს თანხა ასე განაწილდა: ბახვის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელს—30 მან., ბახვის წყლის ხიდის ფონდისთვის—40 მან., ოქროს ქედის სკოლას—15 მან., მშვიდობიანის სკოლას—15 მ.

განსვენებულის ძმისწულებმა ისონ და კლიმენტი კვაჭანტირაძეებმა იმავე მიზნით შემოსწირეს 40 მ. ეს განაწილდა ასე: ოქროსქედის სამკითხველოს—15 მან., ბახვის წყლის ხიდის ფონდს—25 მან.

ამათ გარდა განსვენებულის ილიკოს სახსოვრად შემოსწირეს მისმა ამხანაგებმა: მელიტონ ნაცვალაძემ, ისიდორე სილაძემ და მიხეილ ჯინჭარაძემ—სამ-სამი მან., გიორგი ძიძიგურმა—ორი მანეთი, მახაკო გუგუნავამ—15 მან. უკანასკნელი თანხები განაწილდა ასე: ოქროსქედის სამკითხველოს—2 მან., ჯარისკაცებისათვის გაზეთის გასაგზავნათ—6 მან., პარტიული სტამბის ფონდისათვის—18 მან. ამასთანავე გაზ. „ერთობის" რედაქციას ფოსტით ეგზავნება 24 მან. დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

ვლ. ცქვიტინიძე.

განჯა. საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლად განჯის (სადგურის) ს. დ. ორგანიზაციამ, თანახმად საორგანიზაციო კომიტეტის რ. ს. დ. მ. პ. მოწოდებისა, კვირას, 13 აგვისტოს გამართა ფულადი შესაწირავის შეგროვება და საღამოთი რკ. გზის მეცხრე რაიონის უფროსის ბაღში—გულიანი, რუსულ-ქართული წარმოდგენებით, მუსიკით ლატარეია-ალეგრით და სხ. ხალხი თანაგრძნობით შეხვდა და ბევრიც დაესწრო. შემოსავალმაც მოლოდინს გადააჭარბა.

ეს იმისი უტყუარი მაჩვენებელია, რომ ხალხის დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით ეროვნებისა—ინტელიგენციის მხარეც—მუშათა კლასს და მის ხელმძღვანელ ს. დ. პარტიას უჭერს მხარს. კომიტეტი უძღვნის მადლობას ყველას ამით, ვინც პირდაპირ თუ არა პირდაპირ, ხელი შეუწყო ამ საერთო საქმის ჩატარებას. შემოსავალი სულ 2118 მან., 33 კ. დანახარჯი: 764 მან. 20 კ. დარჩა: 1345 მ. 13 კ.

ლადო.

სოფ. ზანათი. (აბაშის რაიონი). კვირას, 20 აგვისტოს მოხდა ზანათის მომხმარებელ საზოგადოების „სილოვნების წყარო"-ს წევრთა საზოგადო კრება; საზოგადოებამ კრების თავმჯდომარეთ ერთ ხმათ აირჩია ამხ. პეტრე ქობალია, მდივნათ თედორე კოკაია. განსახილველი იყო: გამგეობის მოხსენება, ოთხი თვის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა, წარმოების გაფართოება სხვა განყოფილებით, კოოპერატიული წიგნთსაცავის აშენება და ამისათვის კომისიის არჩევა, მდინარე აბაშაზე ხიდის ფონდის შეგროვებისათვის და მოგების განაწილება. ანგარიშიდან გამოირკვა, რომ ამ ხნის განმავლობაში კოოპერატივს მოგება დარჩენია წმინდა 880 მან. და 21 კ. ანგარიში მიიღო საზოგადო კრებამ და გამგეობის წევრებს მადლობა გამოუცხადა. დასმულ კითხვებზე კრებამ დაადგინა წარმოება გააფართოოს სამანუფაქტურო განყოფილების გახსნით, ამისთვის საჭირო თანხა, საწევრო ათი მანეთი 27 აგვისტოსათვის უნდა შეიტანონ. წიგნთსაცავის აგება კრებამ მიიღო. [illegible] ამხ. პეტრე ქობალიამ. აირჩიეს სამშენებლო კომისია ოთხი კაცისაგან: სიმონ ტურაია, იოსებ გუნია, პავლე ქობალია და გიგო [illegible]. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს ისონ გუნია და [illegible] ქობალია. მდ. აბაშაზე ხიდის ფონდის შეგროვება [illegible] საჭიროებათ დაინახეს. იქვე შეგროვდა 500 მან. დაევალა უკვე არჩეულ კომისიას იზრუნოს და რაც შეიძლება მალე შეაგროვოს ხიდის მოწყობით ფული. ვადათ დანიშნეს 30 აგვისტო. კოოპერატივის მოგება 880 მან. 21 კაპ. განაწილდა ასე: 200 მანეთი ხიდის ფონდს, 150 მანეთი მიწის შესაძენათ მაღაზიისათვის, 100 მან. სათადარიგო თანხაში გადაირიცხოს, 35 მანეთი ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციას, 20 მ. ზანათის ღარიბ მოწაფეებისათვის, 25 მ. ადგილობრივ სამკითხველოსთვის, 10 მ. ზან. რ. ს. დ. მ. პ. დროშისათვის. დანარჩენი 340 მ. გადადეს საკუთარი მაღაზიის შესაკეთებლათ. გამგეობის წევრებათ ისევ ძველები დატოვეს.

იასონ.

წერილები რედაქციის მიმართ.

ღია წერილი ქუთაისის უეზდის კომისარს ა. ჭეჭინაძეს.

„ერთობის" № 95-ში სოფ. მუხიანიდან მოთავსებულ წერილს ისე აურევია დღეთარი ბ. ჭეჭინაძისათვის, რომ არ იცის, რა ქნას. „სოც.-დემოკრ." № 113-ში მოყოლია აბდაუბდას და ისეთ ბრალდებებს მიყენებს, რომლის დამტკიცებლობა მას დღეს სასჯელს უმზადებს. ბ. კომისარ! თქვენ თუ წაკითხულის გაგება შეგიძლიათ, იმ ნომერში თქვენზე შემდეგათ სწერია: „სოფ. მუხიანის მცხოვრებლებმა საერთო დადგენილების ძალით (სოფლის განაჩენი) სადგურთან გახსნეს საერთო სასწორი. გასცეს იჯარით 656 მ. წლიწადში და მოიჯარადრე ფუთზე 2 კაპ. იღებს". ასეთი დადგენილების გამოცემის უფლება ხალხს თვითმპყრობელობის დროსაც ჰქონდა და მით უფრო 27 თებერვლის შემდეგ, რადგან ის განთავისუფლდა და თვისი შინაური საქმეების ბატონ-პატრონი გახდა; ამის შემდეგ მე ვერ გამიგია თქვენი სიტყვების მნიშვნელობა: „თქვენ საერთო სასწორი იჯარით მიეცით ბაბუნაშვილისათვის და ნება დართეთ, რომ ყველა ის საქონელი, რაც თქვენს სასწორზე არ აწონებოდა და პირდაპირ რკინის გზით გაიგზავნებოდა, ფუთზე 2 კაპ. (ვაგონზე 20 მ.) ეღო, გ. ი. რკინის გზით გასაგზავნი საქონელი დაიბეგრება. რა არის ეს, თუ არა შანტაჟი"? ამ სიტყვების წაკითხვამ, ბ. კომისარო, მომაგონა მუხიანელი და ოფშქვითელი ვაჭრუკანების: ახლან ნიჟარაძის, გრიშა კოლუაშვილის, შალამბერიძის, დაშქერეიშვილის, მარგალიაშვილის და სხვათა საჩივარი, რომელსაცა მოაგროვებს თქვენ, უბნის და მაზრის კომისრებს: არიქა, ვიღაც ვიღაცეებმა რკინის გზა დაიჭირეს და გვიშველეთო. თქვენც მიიღეთ რა მათი საჩივარი სამართლად, გამოცხადდით მუხიანში 1 ივნისს, გატეხეთ სამკითხველოს შკაფის კარები, რომლის გასაღები მე მქონდა ქუთაისში, გაეცანით ხალხის დადგენილებას საერთო სასწორის შესახებ, პირადად ხალხიც და მოიჯარადრე ნიკოლოზ ბაბუნაშვილიც შეარცხვინეთ და მერე ძველი ბოქაულივით განაცხადეთ საჯაროთ: „კერძო ვაჭრებს უფლება აქვთ, სადაც უნდათ, იქ აწონონ საქონელი, თქვენ კი ვინც მოიგერიებს იმას აუწონეთ". კერძო ვაჭრებსაც ეს უნდოდათ, მაგრამ ხალხმა დადგენილების შესრულება ყველას მოსთხოვა, თითქო ბოიკოტი გამოუცხადა მათ, და ისინიც ხალხის ძალას დაემორჩილნენ. ხალხისაგან 2—3 მაისს დადგენილ განაჩენს მოიჯარადრის სასარგებლოთ ფუთზე 2 კაპეიკის გადასახადის დადებას მე პირადათ მაბრალებთ, მიწოდებთ შანტაჟისტს და მცარცველს ხალხისას, როცა ამბობთ „2 კაპ. ფუთზე გვართმევენ შემოსავალს მოგცემთ, ვის ჯიბეში მიდის ყველა ის ნაცარცვი ფულები? ან რომელ საზოგადო საქმეს ხმარდება? ამასაც მალე გავიგებთო". თქვენ ამ სიტყვების შემდეგ უნდა დამიმტკიცოთ, რომ 2 მაისიდან ფუთზე 2 კ. მუხიანის საერთო სასწორზე აწონილ საქონელში მე ვიღებ, ვცარცვავ ხალხს და ვშანტაჟისტობ, თუ ვერ დაამტკიცებთ ამას გაზეთისავე საშუალებით მოიხადეთ ბოდიში და უკანვე დაიბრუნეთ თქვენი სიტყვები, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები, მივმართო რევოლიუციონურ სასამართლოს. თქვენ ძალიან კარგათ იცით ვის მიაქვს იჯარის ფული, მარა უჭერთ რა მხარს იმ ვაჭრებს და რკინის გზის (მუხიანის) უფროსს მოსამსახურეებს, რომლებსაც ჩვენ, გ. ი. მუხიანის რაიონის სოციალდემოკრატიული ჯგუფი 1907 წლიდან ვებრძვით პრესის საშუალებით, ვამხილებთ მათ მოქმედებას ხალხის ყურადღებაში, ნაცვლად მე ტყუილში, რადგაც მოსაზრებით, მარა ნურას უკაცრავათ, თუ ეს ნასროლი ტალახი თქვენვე მოგხვდებათ. შემდეგ სწერთ: „მუხიანის მცხოვრებლებმა მონაწილეობა თქვენი რჩევით არ მიიღეს ქვიტირის აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნებში, შემდეგ მე ავარჩევინე წევრი მუხიანს, დავითანხმე რა ისინი დროებით ქვიტირის საზოგადოების ფარგლებში დარჩენაზე, მარა ამ სოფლის მცხოვრებნი აღარ ცნობენ არც ქვიტირის კომიტეტს და არც უბნის კომისართო". თუ რატომ არ მიიღეს მონაწილეობა მუხიანელებმა ქვიტ. კომიტ. ამას კი უმალავთ მკითხველებს. მუხიანელებმა 4 მაისიდან გუბერნიის კომისარიატში თხოვნა გაგზავნეს, რომ ცალკე საზოგადოების დაარსების უფლება მიეცათ მათთვის და ყოველივე ხარჯს სამართველოს შენახვისას თავის თავზე იღებდნენ, ამის გამო არც ფარცხანაყანევში და არც ქვიტირში მონაწილეობა არ მიიღეს, ელოდენ რა დღედღეზე საზოგადოების დამტკიცებას და ემზადებოდენ საკუთარი კომიტეტის არჩევნებისათვის. თქვენ კი 1 ივნისს ჩადით იქ და, ჩვენ დაუკითხავათ, მოახდინეთ, ვიღაცამ ფარული კენჭი, არჩევანი და ისეთი კაცი გაგვიგზავნეთ ქვიტირის კომიტეტში (ვასილ ქუთათელაძე), რომელსაც მუხიანელები არც კი იცნობდენ კარგათ და თან განუცხადეთ მათ: სანამ ამ სოფელს საზოგადოებათ დაამტკიცებენ, ქვიტირში ეყენებათ საქმე და შემდეგ აქო, საკუთარ სამართველოს მოგცემენ, თუ კი შეინახავთ მასო. ხალხი ერწმუნა თქვენს სიტყვებს და დღე-დღეზე ელოდა საზოგადოების დამტკიცებას, მაგრამ მოატყუვდა და თუ თქვენ მიერ ხელდასხმული—არჩეული კაცი ქვიტირის არ ეკარება—ეს რა ჩემი ბრალია; ამის პასუხი თვითონ ხალხმა მოგახსენათ. უკანასკნელით აცხადებთ, რომ მუხიანში არავითარი კომიტეტი არ არსებობსო. ეს განცხადება დღეს რამდენიმეჯერ მართალია და ისიც თქვენ და მაზრის კომისრის წყალობით, რომლებმაც 1 ივნისს და 2 ივლისს უბრძანეთ ხალხს „დღეიდან საბჭო მუხიანის, რაიონის და სასურსათო კომიტეტი მოხსნილია და არ გაბედოთ კრების მოწვევა, თორემ დაგიჭერთო". ამ განცხადებამ ძველი მთავრობის აგენტები და ვაჭრები ისე გაათამამა, რომ აშკარათ იწყეს ლენინური ვაჭრობა, ქვიდა და რაიონში მომქმედ მოშურნე ამხანაგების წინააღმდეგ აგიტაცია; მუხიანის გლეხთა საბჭოს და სოც. დემოკრატიული ორგანიზაციის წევრები კი ისე დააფრთხო, რომ 9, 14 და 15 ივლისს მოწვეულ კრებაზე არ მოვიდნენ, რაც წერილობით მაშინვე ვაცნობეთ ამიერ-კავკასიის უმთავრეს კომიტეტის რწმუნებულს ბ. ურატაძეს და ჩქარა ეცნობება საგუბერნიო კომისარსაც. თუ რას აკეთებენ 1907 წლიდან მუხიანში არსებული ს. დ. ჯგუფი ჩემი ხელმძღვანელობით და ან 12 მარტიდან რა გააკეთეს ამის შესახებ იხილეთ „ერთობის" № 88 და „სოც. დ." № [illegible] და მახსენებლობა წარმოდგენილი გამოაქვეყნებულ ამიერ კავკასიის კომიტეტის რწმუნებულთან. აი ასეთმა, როგორც ჩემ, ისე სხვა ამხანაგების წინააღმდეგ უსაბუთოთ გამოლაშქრებამ და მუხიანის რაიონის ჯაშუშ-პროვოკატორებმა თქვენ [illegible] საქმის შეფერხება დემოკრატიული მუშაობა, რაც [illegible] საბუთს გაძლევთ თქვენ, სთქვათ: მუხიანში არაფერი იყოს" და ეს გ. ი. მუხიანში უმუშევრობა, გაბრალებთ თქვენ. გარდა ამისა მინდა შეგეკითხოთ ბ. კომისარო: თქვენ სოციალ დემოკრატიათ ხომ 27 თებერვლიდან გახდით, მანამდის კი სად? პეტროგრადის ფედერალისტთა ბანაკში ირიცხებოდით არა? და ასეთი პიროვნება, „დღეს მოვლე სოციალისტი" ჩვენ გვიწუნებთ მუშაობას! ესაა ჩემი პასუხი.

ს. ხახიაშვილი.

გაზეთ „ერთობა"-ში 18 აგვისტოს № 125-ში მოთავსებული იყო ჩემი კორესპონდენცია სოფელ „კახურზე". ეს კორესპონდენცია შეეხება იმ კრების რეზოლიუცია-ნადგენარებს, რომელიც მოხდა კახურის მცხოვრ. კრებაზე 31 ივლისს, ორშაბათს. როგორც გამოირკვა კრებამ მე შეცდომაში შემიყვანა. კორესპონდენციაში არის ნათქვამი: 1) სოფელ კახურს და ოზურგეთს აქვს გახსნილი კოოპერატივი თვით ოზურგეთში, 2) კახურელები აძლევდენ წინადადებას ოზურგეთელებს შეამხანაგებოდნენ; სოფელ ოზურგეთში არსებული კოოპერატივი გახსნეს 1916 წელს თვით ოზურგეთელებმა, შემდეგ ამ კოოპერატივში შემოვიდნენ წევრებათ კახურელები; და ეს კოოპერატივი წინეთ არ ყოფილა გახსნილი ოზურგეთელებიდან და კახურელებიდან ერთად, არამედ გახსნა ოზურგეთელებმა და წევრებათ შემოვიდნენ კახურელები, 3) მოხსენებულია კორესპონდენციაში: კახურელები აძლევდნენ წინადადებას ოზურგეთელებს შეამხანაგებოდნენ. ესეც არაა მართალი, ვინაიდან, როგორც გამოირკვა კახურელებს არავითარი წინადადება არ მიუციათ ოზურგეთელებისთვის, მხოლოდ ჰქონდათ საჩივარი მაზრის უფროსთან შესახებ დებეზურის სახლეურების მოპატიჟებისა, ამ დებეზურის საზოგადოებაში არის სოფელი ოზურგეთიც და სრული შეცდომაა კრებაზე გამოთქმული აზრი და შემდეგ კორესპონდენციაში, ვითომც კახურელები წინადადებას იძლეოდნენ შეამხანაგებაზე.

სიმონ ჯორბენაძე.

სოფ. მეწინავის უფასო სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს [illegible] -ძე კალანდაძეს, რომელმაც ქ. ბათუმში შეკრიბა მის ნაცნობ-მეგობრებში 200 მან. და შემოსწირა მეწინავის ღარიბ სამკითხველოს.

აგრეთვე დიდ მადლობას ვწირავთ ყველა იმ პირებს, რომლებმაც [illegible] ინებეს და ზემოხსენებულ სამკითხველოს შემოსწირეს თავიანთი წვლილი.

მეწ. სამკითხველოს გამგეობა.

მადლობას ვუცხადებთ ყველა იმ სტუმარს [illegible], რომლებმაც 6 ივლისს, ს. [illegible] ადგილობრივ უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენა გამართეს და 113 მ. 85 კ. [illegible] შემოსავალი გადმოგვცეს. ამას გარდა [illegible] ფილიპე მელქაძეს, რომელმაც ამავე სამკითხველოს შემოსწირა 10 მანეთი.

სამკითხველოს გამგე ნოე დევაძე.

ქუთაისში
ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე
იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი. პუშკინის ქუჩა, [illegible] სახლში.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, 1—2 და საღ. 5—6 საათ. ს-დის. გუნიბის ქ. № 41.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ. ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება, (სისხლის ნაკლებობა, ნერვებით ავადმყ., სიფილისიანთ და სხ.) ელექტრონიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხვ. მისამართი: ფესანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).
(12—7)

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, პლევრიტისა და გულისა. იღებს ახლა რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფებისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. [illegible] ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი გ. მ. მუხაძე
ქალაქიდან გამგზავრების გამო შესწყვიტა ავადმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ექიმი ივანე თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კოლხეთის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
[illegible] ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისში.
ექიმი გ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, [illegible] ქ., მაჭარაძის სახლი.

ექიმი ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოთი 6—8 საათამდე. კანის, ვენერიული და შარდსადინარი (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისში
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფებს იღებს დილიდან 9—12 საათ. და [illegible] 6—8 ს. საათამდე

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრონიზაცია. ტფილისური ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
[illegible] უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი [illegible] იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათ. საათამდე, [illegible] პირდაპირ, რამიშვილის ქუჩა, № 19.

„სორაპანის" გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ სახელმძღვანელო წიგნები
ქართველი მწერლები — წიგნი პირველი. შედგენილი ივ. გომელაურის მიერ ფასი 2 მან.
ქართველი მწერლები — წიგნი მეორე ფასი 5 მან.
იყიდება ყველგან საქართველოს წიგნის მაღაზიებში
გამოვიდა და იყიდება „ჩანგი" მ. [illegible] ფ. 4—50 კ.
(10—4)

ბუღალტერიის და კონტორის ცოდნათა კურსები
პირველ თფილისის კომერციულ სასწავლებელთან ორივე სქესის პირთათვის. მეცადინეობა დაიწყება 10 სექტემბრიდან, გათავდება 20 დეკემბერს. თხოვნები მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში.
(15—9)